ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

UNDP

საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

სატელევიზიო ახალი ამბების მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში

5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

სარჩევი

პროექტის შესახებ 3

მონიტორინგის მეთოდოლოგია 3

ძირითადი მიგნებები 4

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი 6

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია 10

მთავარი არხი 15

რუსთავი 2 21

იმედი 25

ტვ პირველი 29

ტვ 25 35

რიონი 37

გურჯაანი 40

მეცხრე არხი 43

TV 4 45

თრიალეთი 48

ტვ გურია 51

ოდიში 53

პროექტის შესახებ

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ გაეროს განვითარების პროექტ „საქართველოს 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევის“ ფარგლებში ევროკავშირის ფინანსური დახმარებით აკვირდება ტელემედიის მიერ 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების გაშუქებას. მონიტორინგი დაიწყო 2020 წლის 5 ივლისს და დასრულდება 2022 წლის მარტში. დაკვირვება მიმდინარეობს შემდეგ 14 სატელევიზიო (5 ეროვნულ, 9 რეგიონულ) არხზე. ესენია: პირველი არხი, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, ტელეკომპანია მთავარი, რუსთავი 2, იმედი, ტვ პირველი, ტვ 25, თრიალეთი, მე-9 არხი, ტვ ოდიში, ტელეკომპანია გურჯაანი, ტვ გურია, ტელეკომპანია რიონი, ტვ 4 .

მონიტორინგის მეთოდოლოგია

მონიტორინგი შედგება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის კომპონენტებისგან. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს ისეთ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაიზომოს: სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, გაშუქების ტონი (დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი), პირდაპირი/ირიბი გაშუქება (სუბიექტები თავად საუბრობენ, თუ მათზე სხვები საუბრობენ), სუბიექტის სქესი (კაცი თუ ქალი).

თვისებრივი მონიტორინგისას ყურადღება ექცევა ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია: ფაქტების დროული გაშუქება, ინფორმაციის დამახინჯება, დაუბალანსებელი გაშუქება, ტენდენციურობა, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება, ხმით/მუსიკით მანიპულირება, ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვა, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ფაქტი, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდება პარტიებსა და პოლიტიკოსებზე, რომლებიც მონაწილეობენ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. მონიტორინგის სუბიექტები ასევე არიან: მთავრობა (ცენტრალური, ადგილობრივი, აჭარის), პრეზიდენტი, (საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი 2012-2013 წლებში) ბიძინა ივანიშვილი და მიხეილ სააკაშვილი (საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი 2004 -2013 წლებში).

დაკვირვება ხორციელდება არა მხოლოდ საარჩევნო თემაზე მომზადებულ სიუჟეტებზე, არამედ ყველა სიუჟეტზე, სადაც მონიტორინგის სუბიექტებზეა საუბარი.

ძირითადი მიგნებები:

- 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო მონიტორინგის ფარგლებში დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ მაუწყებელთა პოლარიზაცია წინა წელთან შედარებით კიდევ უფრო გაიზარდა - ტელესივრცე ორ ბანაკად გაიყო. ტელეარხების ნაწილი მიკერძოებულია ხელისუფლებისადმი, მეორე ნაწილს კი ოპოზიციის მიმართ მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკა აქვს;

- პოლიტიკური პოლარიზაციის შედეგად ეროვნული მაუწყებლები წინასაარჩევნო პერიოდში ხშირად არღვევდნენ სამართლიანი და თანაბარი გაშუქების პრინციპს. სატელევიზიო არხების ნაწილი ხელისუფლებისადმი იყო მიკერძოებული, ნაწილი კი ოპოზიციისადმი. ამასთან, წელსაც გაგრძელდა ტენდენცია და მიკერძოება გამოიხატებოდა არასასურველი პოლიტიკური სუბიექტის ნეგატიურ გაშუქებაში.

- მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა სიუჟეტების სიმცირე საარჩევნო თემაზე, რომელიც ამომრჩეველს მეტად დაეხმარებოდა ინფორმაციის საფუძველზე შეგნებული არჩევანის გაკეთებაში.

- სატელევიზიო ახალ ამბებში ხშირად გვხვდებოდა პროფესიული ეთიკის დარღვევისა და მანიპულაციის ფაქტები. საინფორმაციო გამოშვებებში ვრცელდებოდა სუბიექტური, გადაუმოწმებელი და დაუსაბუთებელი ინფორმაციები. ასევე, გვხვდებოდა შეურაცხმყოფელი და არაეთიკური ტერმინოლოგია და ვიდეო და ტექსტით მანიპულირების შემთხვევები,.

- ხელისუფლების მიმართ ლოიალურ სარედაქციო პოლიტიკას ინარჩუნებს საზოგადოებრივი მაუწყებლის 1-ელი არხი;

- საზოგადოებრივი მაუწყებლის 1-ელი არხი ყველაზე დადებითად მთავრობას აშუქებდა (21%) ყველაზე უარყოფითად კი საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გაშუქდა (21%);

- საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ყველაზე პოზიტიურად (21%) ადგილობრივ ხელისუფლებას აშუქებდა;

- ტელეკომპანია ,რუსთავი 2“ მფლობელის შეცვლიდან ორი წლის თავზე შეუერთდა იმ მაუწყებელთა რიგს, რომლებიც განსაკუთრებით უარყოფითად აშუქებენ ოპოზიციას, მმართველ პარტია „ქართულ ოცნებას“ და მთავრობას კი დადებითად;

- მონიტორინგის პერიოდში „ტვ პირველი“ მაუწყებლობდა ხელისუფლებასთან მკვეთრი დაპირისპირებისა და პროტესტის პირობებში. არხის სარედაქციო პოლიტიკა ძირითადად 2021 წლის 5 ივლისის მოვლენებმა განაპირობა;

- „მთავარი არხი“ 6 ოქტომბრიდან ეკრანზე წარწერით #თავისუფლებამიშას მაუწყებლობდა;

- ,,მთავარ არხს "წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური სუბიექტების საარჩევნო კამპანიის გაშუქებისას შერჩევითი მიდგომა ჰქონდა. ის ძირითადად დროს „ნაციონალური მოძრაობის" აქტივობის გაშუქებას უთმობდა;

- 18 ოქტომბერს, ტელეკომპანია იმედმა ღიად განაცხადა, რომ საგანგებო რეჟიმზე გადადის. მისი მთავარი მიზანია, არ დაუშვას „ნაციონალური მოძრაობის" რევანში საქართველოში. „იმედმა" იმავე შინაარსის განცხადება 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინაც გაავრცელა;

- ტელეარხების მიკერძოება კონკრეტული სუბიექტის მიმართ ნათლად ჩანდა ისეთი მნიშვნელოვანი თემების გაშუქებისას, როგორიცაა „5 ივლისის მოვლენები", „ევროკავშირის მაკროფინანსურ დახმარებაზე უარის თქმა", „შარლ მიშელის შეთანხმების ანულირება" და, სავარაუდოდ, „სუსიდან გამოჟონილი ჩანაწერები" და „მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრება".

- მეტწილად გაუარესებულია წინა წლებთან შედარებით რეგიონული ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებების ხარისხი, როგორც ტექნიკური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით: რეგიონული არხების ნაწილი ვერ ახერხებდა ყოველდღიურად მაუწყებლობას. ზოგიერთ არხზე გამოშვებები დაუდგენელი გრაფიკით გადიოდა. იყო რამდენიმედღიანი, მათ შორის ერთთვიანი წყვეტებიც;

- რეგიონული არხების ნაწილი ხშირად იყენებდა სამთავრობო უწყებების პრესსამსახურების მომზადებულ მასალებს, მკაფიო მინიშნების გარეშე;

- კვლავ პრობლემად რჩება რეგიონულ მაუწყებლებში გასული სიუჟეტების ზედაპირულობა და სიღრმისეული მასალების არარსებობა;

- რეგიონულ მაუწყებელთა უმეტესობის მაყურებლები ამომწურავ ინფორმაციას ვერ იღებდნენ არათუ საარჩევნო პროცესების, არამედ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შესახებ;

- რამდენიმე რეგიონული არხის საინფორმაციო გამოშვებაში დაფიქსირდა სარეკლამო შინაარსის შემცველი სიუჟეტები, რაც დაუშვებელია;

- ტვ 25 კრიტიკულად აშუქებდა ,,ქართული ოცნების" და ხელისუფლების აქტივობებს;

- მეცხრე არხს და ტელეკომპანია „გურიას" ხელისუფლების და ,,ქართული ოცნების" მიმართ კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკა აქვს ;

- ტელეკომპანია „გურჯაანი" ხელისუფლებისა და მმართველი პარტიისადმი მიკერძოებული არხია. მონიტორინგის პერიოდში უკრიტიკოდ, დადებითად შუქდებოდა ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობის საქმიანობა;

- ხელისუფლებისა და მმართველი პარტიისადმი დადებითი განწყობა გამოიკვეთა ტელეკომპანია „თრიალეთზე", TV 4-სა და ტელეკომპანია „რიონზე" დაკვირვების შედეგად;

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი

რაოდენობრივი შედეგები

სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ „პირველი არხის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „მოამბე 21 საათზე“ და გადაცემას „ახალი კვირა“. „პირველ არხზე“ მონიტორინგის პერიოდში „მოამბეში“ ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. ყველაზე დადებითად მთავრობა გაშუქდა (მისთვის დათმობილი დროის 21 %). ყველაზე უარყოფითად „პირველ არხზე“ მიხეილ სააკაშვილი გაშუქდა (მისთვის დათმობილი დროის 21 %).



შინაარსობრივი შედეგები

საზოგადოებრივი მაუწყებლის 1-ელი არხის საინფორმაციო გამოშვებაში ეთიკური სტანდარტები მეტ-ნაკლებად დაცული იყო. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მსგავსად, ,,მოამბე“ წელსაც ხელისუფლების მიმართ ლოიალურ სარედაქციო პოლიტიკას ინარჩუნებდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში მთავრობისა და სახელისუფლებო გუნდის მიმართ კრიტიკა ძირითადად ოპონენტების შეფასებებში და კომენტარებში ისმოდა. ,,მოამბეში“ არ გადიოდა ხელისუფლების მიმართ კრიტიკული ანდა სიღრმისეული და საგამოძიებო სიუჟეტები. გამონაკლისის სახით უნდა ითქვას, რომ განსხვავებული სარედაქციო პოლიტიკა ჰქონდა „ახალ კვირას“, სადაც გვხვდებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების კრიტიკა.

მონიტორინგის პერიოდში „მოამბე“ ყველაზე დადებითად აშუქებდა პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის საქმიანობას, მათ შორის საერთაშორისო დონის შეხვედრებს. გარდა ამისა, აქტიურად შუქდებოდა სიახლეები ეპიდვითარებასთან დაკავშირებით, თუმცა პასუხისმგებელი პირების გამოკვეთის და კრიტიკის გარეშე.

მთავრობის გაშუქების პოზიტიურმა ტონმა „მოამბეში“ იმატა სექტემბერში, არჩევნების წინ. მაგალითად, ქვეშეთი-კობის გვირაბის მშენებლობა, ფერწერული ტილოებისა და ჭავჭავაძეების საგვარეულო ხმლის დაბრუნება საქართველოში, სარაგბო ინფრასტრუქტურის მშენებლობა აჭარაში, პრემიერ-მინისტრი სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“, დევნილებისთვის ბინების გადაცემა წყალტუბოში, ასევე, სუბსიდირებული იპოთეკური სესხები. ყველა ამ აქტივობის გაშუქებისას ხელისუფლება დადებითად იყო წარმოჩენილი.

1-ელი არხი, წინა წლების მსგავსად, წელსაც დროს უთმობდა პოლიტიკური პარტიების აქტივობებს, თუმცა საარჩევნო პროგრამების ანალიზს - ნაკლებად. საარჩევნო სუბიექტების აქტივობას ძირითადად ფორმალური ბალანსის დაცვით და ზედაპირულად აშუქებდა. აღსანიშნავია, რომ 13 სექტემბრიდან „მოამბემ“ მოახლოებული თვითმმართველობის არჩევნების წინ დაიწყო სპეციალური რეპორტაჟების ციკლი, რაც გულისხმობს ჯერ კონკრეტული მუნიციპალიტეტის პრობლემებისა და გამოწვევების ჩვენებას, შემდეგ კი ამავე მუნიციპალიტეტის კანდიდატების ხედვის გაცნობას.

ხელისუფლების მიმართ ლოიალური დამოკიდებულების ფონზე საარჩევნო პერიოდში ,,მოამბე“ საკმაოდ კრიტიკული იყო ოპოზიციის მიმართ. რაოდენობრივი მონაცემებით ყველაზე უარყოფითად ,,ნაციონალური მოძრაობა“ და მიხეილ სააკაშვილი გაშუქდა.

მაგალითად, 29 ოქტომბერს, თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის წინა დღეს თბილისის მერობის ორი კანდიდატის შესადარებელ სიუჟეტს ,,კახა კალაძე VS ნიკა მელია“, „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი, კახა კალაძე საფეხბურთო კლუბ „მილანის” ვარსკვლავი და ჩემპიონთა ლიგის თასის მფლობელი ხოლო ნიკა მელია აგრესიული, მოჩხუბარი, სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული პირია. 11-წუთიან სიუჟეტში ჟურნალისტის მიკერძოებული ტექსტით და კადრების მანიპულაციით უკიდურესად დადებითად არის წარმოდგენილი ,,ქართული ოცნების“ კანდიდატი და უარყოფითად - ნიკა მელია.

„ერთის ფერი აგრესიული წითელია, მეორის კი სიმშვიდის - ლურჯი... ვიდრე ერთის საოცნებო გოლი თანაგუნდელის კარში ვერ გავა, მეორე კარგა ხნით ადრე მეგობრებთან ერთად მსოფლიოს ბევრ კარს აიღებს და ბავშვობის ოცნებას რეალობად გახდის - გახდება მილანის ვარსკვლავი და ერთადერთი ქართველი ფეხბურთელი, რომლის აწეული ჩემპიონთა ლიგის თასითაც იმ დროს მთელი ქვეყანა იამაყებს, შესაძლოა, მისი მომავალი კონკურენტიც კი... მაგრამ, თუ გარდამტეხ 2012-ს მელიასთვის პირველი სისხლის სამართლის საქმის ბრალი მოაქვს, მისი მეტოქისთვის 1-ელი ოქტომბერი პირველი პოლიტიკური გამარჯვების თარიღი ხდება...“, - ამბობს ჟურნალისტი სალომე ქოქიაშვილი.

საზოგადოებრივი მაუწყებელი კრიტიკულად აშუქებდა საქართველოს მესამე პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს. მიხეილ სააკაშვილის მიმართ პირველი არხის ნეგატიური განწყობა ჩანს წამყვანისა და ჟურნალისტების ტექსტებშიც.

იმის მიუხედავად, რომ „მოამბეში“ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით გასულ მასალებში შეიძლება ლეგიტიმური კითხვები იყოს დასმული, არის შემთხვევები, როცა ჟურნალისტის ტექსტები ცინიკურია და კადრები მანიპულაციის ნიშნებს შეიცავს როგორც 19 ოქტომბერს გასულ სიუჟეტში (25:47)

„ის მოდიოდა და ფიქრობდა. რაზე? საკითხავი ახლა ესაა. თუ თავად მსჯავრდებულს დავუჯერებთ, უკრაინიდან საქართველომდე სურსათით დატვირთული სატვირთოს მგზავრი, წიწიბურისა და არაჟნის შეკვრებს შორის იჯდა და თავის წილ ტვირთზე - დიდ შერიგებაზე ფიქრობდა და აი, ისიც, 320-ე საკნის ტუსაღის ერთ-ერთი ბოლო მიმართვა... არ დაარბიოთ მშვიდობიანი ხალხის საპროტესტო აქციები, - წერს 7 ნოემბრის საქმეზე ბრალდებული პატიმარი თავის საჯარო წერილში...“ - თქვა ჟურნალისტმა და მაყურებელს 2007 წლის 7 ნოემბერს „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს აქციის ძალადობრივად დაშლის კადრები შესთავაზა.

„მოამბის“ რედაქცია ზედაპირულად აშუქებდა, არ ამზადებდა სიღრმისეულ და მრავალ წყაროზე დაყრდნობით აგებულ სიუჟეტებს წინასაარჩევნო შესაძლო დარღვევების შესახებ გახმიანებულ ფაქტებზე. მაგალითად, 12 აგვისტოს „მოამბემ“ მხოლოდ 1 წუთი დაუთმო შიდა ქართლის პოლიციიდან პატრულ-ინსპექტორის პოლიტიკური მოტივით შესაძლო გათავისუფლების ამბავს (29:42 წთ). ამ მასალაში მთავარი აქცენტი შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხზეა და არა პოლიციელის მონაყოლზე. გავრცელებულ ვიდეოჩანაწერში პოლიციელი თამაზ ჯოხაძე ჰყვებოდა, რომ მას ახსნა-განმარტების გარეშე ათავისუფლებდნენ მისი სიძის ყოფილი პრემიერის, გიორგი გახარიასთან პარტიასთან კავშირის გამო. იმის მიუხედავად, რომ ეს ვიდეომასალა საჯაროდ ხელმისაწვდომი იყო, „მოამბეს“ ამ პოლიციელის ბრალდებები არ შეუთავაზებია მაყურებლისთვის

მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა, რომ 1-ელი არხის მიკერძოება, ლოიალური დამოკიდებულება ჩანდა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების გაშუქების დროსაც.

ხელისუფლების პასუხისმგებლობა არ გამოუკვეთავს და უკრიტიკოდ გააშუქა „მოამბემ“ 5 ივლისის მოვლენები. მასალაში, ერთი მხრივ, ნათქვამი იყო, რომ მედიის წარმომადგენლები ძალადობისა და აგრესიის მსხვერპლი გახდნენ, თუმცა მხოლოდ საინფორმაციო გამოშვების დაწყებიდან 25 წუთის შემდეგ შესთავაზეს მაყურებელს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის კომენტარი, რომელიც ოპოზიციამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოძალადე ჯგუფის წახალისებად აღიქვეს.

„მოამბემ“ ასევე ზედაპირულად გააშუქა „სუსის ფაილების“ სკანდალი 13 სექტემბერს. მაუწყებელმა ამ დღის საინფორმაციო გამოშვებაში მესამე თემად (მეგის ქარდავას საქართველოში ექსტრადირებისა და მიხეილ სააკაშვილის მიმართვის შესახებ მომზადებული სიუჟეტების შემდეგ) შესთავაზა მაყურებელს. სიუჟეტში არ იყო ხაზგასმული გამოჟონილი ფაილების მოცულობა, არ იყვნენ დასახელებული პასუხისმგებელი პირები და არ სცადა ისეთი ფაქტების გადამოწმება, რომლებიც სხვა მედიებმა დაადასტურეს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ახალ კვირაში“ ამ თემაზე მომზადებული მასალა საკმაოდ კრიტიკული იყო.

„მოამბემ” არ გააშუქა 4 ოქტომბერს საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური

კორპუსის ელჩების მიერ გავრცელებული ერთობლივი განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ უკანონო მიყურადება „უხეშად ეწინააღმდეგება დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ ვენის 1961 წლის კონვენციას და ზიანს აყენებს ნორმალურ დიპლომატიურ საქმიანობას საქართველოში“.





საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

რაოდენობრივი შედეგები

სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ 20 საათზე საზოგადოებრივი მაუწყებლის „აჭარის ტელევიზიის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვება „მთავარს“. „აჭარის ტელევიზიის“ საინფორმაციო გამოშვება „მთავარის“ ეთერში ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. „ქართული ოცნება“ გაშუქდა ყველაზე ნეგატიურად (დროის 17 % უარყოფითი ტონით). ყველაზე დადებითად გაშუქდა ადგილობრივი მთავრობა, მისთვის დათმობილი დროის 21 % დადებითი ტონით.



საზოგადოებრივი მაუწყებლის „აჭარის ტელევიზიის“ საინფორმაციო გამოშვებაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამბები ძირითადად ეთიკური სტანდარტების დაცვით შუქდებოდა. თუმცა არხისთვის ძირითად გამოწვევად კვლავ რჩება მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ზედაპირული გაშუქება და ანალიტიკური, სიღრმისეული მასალების ნაკლებობა.

საინფორმაციო გამოშვება „მთავარში“ შუქდებოდა როგორც ადგილობრივი ამბები, ასევე სიახლეები მთელი ქვეყნიდან. ხელისუფლების მიმართ კრიტიკა ძირითადად ცენტრალურ ამბებს ეხებოდა. ეს ტენდენცია შენარჩუნებული იყო ექსკლუზიური, პრობლემური თემების

გაშუქებისას - ნაკლებად ისმოდა ადგილობრივი ხელისუფლების კრიტიკა. „აჭარის ტელევიზია“ აშუქებდა რეგიონში არსებულ პრობლემებს, თუმცა ერიდებოდა ხაზის გასმას ხელისუფლების პასუხისმგებლობისთვის, მათ შორის კორონავირუსის ეპიდემიასთან დაკავშირებულ სიუჟეტებშიც, სადაც [გამოკვეთილი არ იყო მთავრობის როლი პროცესის მართვაში.](20:40)

ხელისუფლების კრიტიკა უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელებისგან ისმოდა.

ხელისუფლების პასუხისმგებლობის გამოკვეთის გარეშე და მხოლოდ სიძულვილის ჯგუფების ძალადობაზე მითითებით [გაშუქდა](20:40) აჭარის მაუწყებლის ეთერშიც, ისევე, როგორც ხელისუფლების მიმართ სხვა ლოიალურ ტელეარხებზე 5 ივლისის მოვლენები. 5 ივლისის მოვლენებს არხმა 20 წუთზე მეტი დრო დაუთმო, მაგრამ არსად თქმულა, რომ ამ დღეს ხელისუფლებამ ვერ შეძლო უმცირესობათა კონსტიტუციური უფლებების დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეს ქუჩაში პოლიციელების საკმარისი რაოდენობა არ იყო და სამართალდამცავებმა მოქალაქეთა ძალადობისგან დასაცავად არ გამოიყენეს საპოლიციო საშუალებები, ჟურნალისტებს აქცენტი ამაზე არ გაუკეთებიათ. მათ ყურადღება გამახვილეს იმ მცირე რაოდენობის პოლიციელთა პოზიტიურ საქმიანობაზე, რომლებიც 5 ივლისს ქუჩაში იყვნენ: „პოლიცია ცდილობდა ვითარების განმუხტვას“; „რომ არა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლების განსაკუთრებული ძალისხმევა, არ ვიცი, ეს მდგომარეობა როგორ დასრულდებოდა“, - ამბობდნენ ჟურნალისტები. სიუჟეტში არ გაუსვამთ ხაზი იმისათვის, თუ რამდენ საათს გრძელდებოდა ქალაქში ძალადობა და რა განცხადებები სდევდა თან ამ პროცესებს.

არხმა მიჩქმალა პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადების ის ნაწილი, რომელშიც „თბილისი პრაიდის“ აქტივისტების კონსტიტუციური უფლების გამოყენებას „მიზანშეუწონელი“ უწოდა და რომელიც ოპოზიციამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოძალადე ჯგუფის წახალისებად აღიქვეს. მეტიც, მან ხელისუფლების პოზიცია მაყურებელს პოზიტიური კუთხით დაანახვა.

„ძალადობა და აგრესია მიუღებელია პოზიციის და ოპოზიციისთვის. დაუშვებელია ყველანაირი წაქეზება, რაც ხელს უწყობს რადიკალურ ქმედებებს, საზოგადოების პოლარიზაციას, აღვივებს დაპირისპირებას, აზიანებს ქვეყანას, საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს სტაბილურობას - ამ შინაარსის გზავნილები იკითხებოდა დღეს პრეზიდენტის, პრემიერის, თბილისის მერის და სხვა პოლიტიკოსების განცხადებებში...“ - თქვა წამყვანმა იმ მასალის წარდგენის დროს, რომელშიც იყო პოლიტიკური შეფასებები.

„აჭარის ტელევიზიის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გასულ წელთან შედარებით ადგილობრივი მთავრობის გაშუქების პოზიტიურმა ტონმა იმატა, რაც რაოდენობრივ მონაცემშიც აისახა და ამ სუბიექტისთვის დათმობილი დროის 21 % შეადგინა. „აჭარის ტელევიზიის“ მთავარ საინფორმაციო გადაცემაში განსაკუთრებით დადებითად შუქდებოდა „ქართული ოცნების“ ბათუმის მერობის კანდიდატი არჩილ ჩიქოვანი.

17 აგვისტოს „მთავარი“, რომელიც ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, დაიწყო ამბებით რეგიონებში მმართველი პარტიის მერობის კანდიდატების წარდგენის შესახებ. მთავარი საინფორმაციო გამოშვების დაწყებიდან რამდენიმე წუთში (20:03 საათზე) კი „ქართული ოცნების“ ბათუმის მერობის კანდიდატად არჩილ ჩიქოვანის წარდგენის ცერემონია აჭარის ტელევიზიის პირდაპირ ეთერში 20 წუთზე მეტ ხანს გადაიცემოდა. მაყურებელმა ამ პირდაპირი ეთერის დროს მოისმინა პრემიერმინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის, აჭარის მთავრობის თავმჯდომარისა და თავად კანდიდატის გამოსვლები. განსხვავებული მიდგომა გამოავლინა 16 აგვისტოს (34 :27) აჭარის ტელევიზიამ ბათუმის მერობის ოპოზიციის შეთანხმებული კანდიდატის და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, გიორგი კირთაძის წარდგენის გაშუქების დროს. მართალია, კანდიდატების დასახელება მთავარი საინფორმაციო გამოშვების დროს არ დაემთხვა, მაგრამ მეორე დღის „მთავარში 20 საათზე“ არხმა მხოლოდ 2 წუთი დაუთმო ოპოზიციის კანდიდატებს და ისიც საინფორმაციო გამოშვების დაწყებიდან 34-ე წუთზე.

აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნოდ „მთავარი 20 საათზე“ მაყურებელს სთავაზობდა რუბრიკას „ინტერვიუ მერობის კანდიდატთან“. ამ რუბრიკაში მაუწყებელმა მაყურებელს შესთავაზა ინტერვიუები სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მიერ, როგორც ბათუმის, ისე აჭარის სხვა ოლქებში, მერობაზე წარდგენილ კანდიდატებთან. აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი ამ რუბრიკის საშუალებით მაყურებელს აწვდიდა ინფორმაციას კანდიდატების სტრატეგიისა და გეგმების შესახებ. თუმცა თვალშისაცემი იყო ბათუმის მერობის მოვალეობის შემსრულებლისა და „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის, არჩილ ჩიქოვანის დადებითად წარმოჩენის მცდელობა.

„რასაც მივაღწიე, მივაღწიე თავდაუზოგავი შრომით, იმ ჩემი გამოცდილებით, პროფესიონალიზმით და ყველაფერი იმით, რაც შეიძლება, რომ ერთმა რიგითმა ბათუმელმა ბიჭმა გააკეთოს ერისთვის, ქვეყნისთვის და, ბუნებრივია, სამსახურისთვის“ - ასე დაიწყო სიუჟეტი (03) 31 ივლისის საინფორმაციო გამოშვებაში არჩილ ჩიქოვანის შესახებ, რომელშიც ცალსახად დადებითად იყო წარმოჩენილი მმართველი პარტიის მერობის კანდიდატი. კრიტიკული კითხვებს, რომლებიც 7- წუთიან სიუჟეტში ისმოდა, ფორმალური ხასიათი ჰქონდა. იმის მიუხედავად, რომ არჩილ ჩიქოვანი უკვე ასრულებდა მერის მოვალეობას ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ჟურნალისტი არ დაინტერესდა, რატომ ვერ გააკეთა მან ის, რასაც ახლა ჰპირდებოდა მოსახლეობას. ჟურნალისტი არ დაინტერესდა, რა კავშირი ჰქონდა მას წარსულში ადამიანის წამებაში ბრალდებულ მეგის ქარდავასთან. რიგ საკითხებზე კი, როგორიც, მაგალითად, მეჩეთის მშენებლობაა, მასალის ავტორი არ ჩაეძია, იყო თუ არა მისი პასუხი თავის არიდება პასუხისმგებლობისათვის.

საზოგადოებრივი მაუწყებლის „აჭარის ტელევიზიის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვება პოზიტიურად აშუქებდა (22.00 --22.39) აჭარის მთავრობის და მისი მეთაურის, თორნიკე რიჟვაძის აქტივობებსაც. ამგვარი, სხვა პოლიტიკურ სუბიექტებთან შედარებით აჭარის მთავრობისადმი მიკერძოებული, სარედაქციო პოლიტიკა შეიმჩნეოდა მონიტორინგის მთელ პერიოდში. ეს მიდგომა განსაკუთრებით გამოიკვეთა არჩევნების მეორე ტურის წინ . მაგალითად, 29 ოქტომბრის „მთავარში“ „ქართული ოცნების“ ჩართულობით რამდენიმე მასალა მომზადდა, კერძოდ:

- ინტერვიუ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძესთან;
- „ოცნების შემაჯამებელი შეხვედრა ბათუმში“ (ბათუმის მერობის კანდიდატის, დავით ჩიქოვანის მონაწილეობით);
- 9 თვის ორნიშნა ეკონომიკური ზრდა;
- აჭარის მთავრობის სხდომა;
- აჭარის ეკონომიკური შედეგები და 2022-ის გეგმა - ინტერვიუ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრთან.

რაც შეეხება ყოფილი პრემიერმინისტრის, გიორგი გახარიას პარტიიდან წევრების საარჩევნო პროცესიდან გამოთიშვას, „აჭარის ტელევიზიამ“ სამონიტორინგო პერიოდში არაერთი სიუჟეტი მიუძღვნა. თუმცა განცხადებები პარტიის „საქართველოსთვის“ წევრებზე ზეწოლის და მუქარის შესახებ უმეტესად ზედაპირულად და ფორმალური ბალანსის დაცვით შუქდებოდა (გახარიას პარტია ხულოს კანდიდატმა დატოვა; გახარიას პარტიას კანდიდატები ზედიზედ ტოვებენ; გიორგი გახარიას პარტიიდან წევრების გადინება გრძელდება), რაც ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის ფაქტების დადასტურების ნაცვლად ამომრჩევლებში ოპოზიციური პარტიის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას უფრო აჩენდა. „აჭარის ტელევიზია“ ძირითადად ნეიტრალურად აშუქებდა საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს. თუმცა იყო გამონაკლისიც, როცა არხის გაშუქების კუთხე ზუსტად ემთხვეოდა ხელისუფლების პოზიციას. ასე მოხდა 6 ნოემბერს. ამ დღეს პენიტენციურმა სამსახურმა რუსთავის პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო ოთახში ფარულად გადაღებული კადრები გაავრცელა და თქვა, რომ ასახული იყო, „როგორ იღებს პატიმარი მიხეილ სააკაშვილი საკვებს და ნატურალურ წვენებს“. არხმა ეს ამბავი ასე დაასათაურა: „მიშა ჭამს და წვენებსაც სვამს - ფარული ვიდეო“. (12:30)

„პენიტენციური სამსახური მიხეილ სააკაშვილის მიერ საკვების მიღების ფაქტების გარკვეული ნაწილის ვიდეოს ავრცელებს. აცხადებენ, რომ გავრცელების აუცილებლობა საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე გადაწყვიტეს“, - ამბობდა წამყვანი. აღსანიშნავია, რომ „გამოკვების“ ისეთი კონტექსტი, როგორიც პენიტენციურმა სამსახურმა შექმნა, არხს ეჭვქვეშ არ დაუყენებია, იმის მიუხედავად, რომ, როგორც გაირკვა, კადრებზე ასახული ფაქტი ჯდებოდა შიმშილობის პროტოკოლში.


სუბიექტების პირდაპირი/ირიბი გაშუქება(%)
აჭარის ტელევიზია
5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021
პირდაპირი
ირიბი
ქართული ოცნება 06:55:01
55
45
ნაციონალური მოძრაობა 05:29:28
64
36
მთავრობა 04:28:57
46
54
აჭარის მთავრობა 02:40:47
76
24
ადგილობრივი მთავრობა 02:24:22
45
55
მიხეილ სააკაშვილი 02:22:59
99
საქართველოსთვის 01:27:09
66
34


სუბიექტების გაშუქება (%)
აჭარის ტელევიზია
5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021
22%
18%
15%
9%
8%
8%
5%
15%
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
მთავრობა
აჭარის მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
მიხეილ სააკაშვილი
საქართველოსთვის
სხვა

მთავარი არხი

რაოდენობრივი შედეგები

„მთავარი არხის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „9 საათზე“, „შაბათის მთავარს“ და „პოსტ ფაქტუმს“. ყველაზე მეტი დრო ამ არხის ეთერში „ქართულ ოცნებას“ დაეთმო (დროის 72 % ნეგატიური ტონი). ყველაზე უარყოფითად კი იგი ბიძინა ივანიშვილს აშუქებდა (87 % უარყოფითი ტონი). „მთავარი არხი“ ყველაზე დადებითად მიხეილ სააკაშვილს (დროის 22 % პოზიტიური ტონი) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (13 % პოზიტიური ტონი) აშუქებდა.



შინაარსობრივი შედეგები

„მთავარ არხს“ მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკა ჰქონდა - მკვეთრად უარყოფითად აშუქებდა ხელისუფლებას და პოზიტიურად წარმოაჩენდა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. არხის საინფორმაციო გამოშვებები ექსკლუზიური სიღრმისეული რეპორტაჟებით გამოირჩეოდა, რა დროსაც ხშირად არღვევდა ეთიკური და მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის სტანდარტებს .

„მთავარის“ საინფორმაციო გამოშვება თემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. არხზე ფართოდ შუქდებოდა კოვიდ პანდემია, სოციალური პრობლემები, კორუფცია, თუმცა მათი უმეტესობა მკვეთრი პოლიტიკური აქცენტებით შუქდებოდა.

მონიტორინგის დასაწყისი დაემთხვა 5 ივლისის ძალადობრივ მოვლენებს, როდესაც მძიმედ დაშავდა მედიის 53 წარმომადგენელი და ფიზიკური ძალადობის შედეგად გარდაიცვალა ტელეკომპანია „პირველის“ ოპერატორი ლექსო ლაშქარავა. „მთავარი არხის“ ჟურნალისტები აქტიურად მონაწილეობდნენ საპროტესტო აქციებში და პოლიტიკურ მოთხოვნებს აყენებდნენ. 14 ივლისს „მთავარმა არხმა“ პროტესტის ნიშნად 24 საათით შეწყვიტა მაუწყებლობა პრემიერ-მინისტრის გადადგომის მოთხოვნით.

ამ ფონზე „მთავარზე“ ღიად უჭერენ მხარს ოპოზიციას, განსაკუთრებით „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და მის ლიდერს, ნიკა მელიას. ამ პარტიის მიმართ კრიტიკული სიუჟეტები საინფორმაციო გამოშვებაში არ გასულა.

წინასაარჩევნო პერიოდში არხს პოლიტიკური სუბიექტების საარჩევნო კამპანიის და აქტივობების გაშუქებისას შერჩევითი მიდგომა ჰქონდა. ის ძირითადად დროს „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივობის გაშუქებას უთმობდა.

„მთავარმა“ 23 ივლისს ანონსის მერე საინფორმაციო გამოშვებაში სრულად გაუშვა ნიკა მელიასა და ელენე ხოშტარიას მერად და საკრებულოს თავმჯდომარედ წარდგენის ცერემონიალი. ასევე, იგი აქტიურად აშუქებდა „ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატების წარდგენას რეგიონებში და სხვა ქალაქებშიც. ხოლო 20 ოქტომბერს პირდაპირ ეთერში 50 წუთზე მეტი დაუთმო ოპოზიციის კოალიციური გუნდის წარდგენას.

წინასაარჩევნოდ „მთავარმა“ ამომრჩეველს შესთავაზა სიუჟეტების ციკლი „გაჩერებული ქალაქები“, სადაც, „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში შეუსრულებელი დაპირებებისა და მოუგვარებელი პრობლემების წარმოჩენის ფონზე ოპოზიციის კანდიდატების საარჩევნო დაპირებები პოზიტიურ ტონში შუქდებოდა. „მთავარმა არხმა“ განსხვავებული მიდგომა აჩვენა „ქართულ ოცნების“ საარჩევნო კამპანიის გაშუქებისას. მეტიც, „მთავარი“ არ აშუქებდა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიას - მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არ გადიოდა სიუჟეტები კახა კალაძისა და მერობის სხვა კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამის შესახებ და „მთავარის“ მაყურებელმა არ იცოდა, რას გეგმავდნენ მმართველი პარტიის მერობის კანდიდატები და არც ის, თუ რომელ რაიონში ვინ წარადგინა მერობის კანდიდატად „ქართულმა ოცნებამ“. უფრო მეტიც, ხშირად მმართველი პარტიის კანდიდატებად დასახელება გამოყენებული იყო მათი დისკრედიტაციისთვის. მაგალითად, 20 ივლისს მთავარი საინფორმაციო გამოშვების პირველივე სიუჟეტი „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატად კახა კალაძის წარდგენას მიეძღვნა. ჟურნალისტი ქეთა ციცქიშვილი მაყურებლის წინაშე წარდგა მაისურზე წარწერით „კალა არ გიტყდება, ტოო?!“.

ზოგადად, საინფორმაციო გამოშვების პირველი სიუჟეტი ეხებოდა კახა კალაძის წარდგენაზე მისულ სტუმრებს, მმართველი გუნდის წევრების ჩათვლით, რომელთაც ჟურნალისტები (არა მხოლოდ „მთავარი არხიდან“) უსვამდნენ შეკითხვებს იმის შესახებ, თუ რატომ არ იღებს ხელისუფლება პასუხისმგებლობას 5 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ კონტრაქციის დროს განვითარებულ ძალადობრივ მოვლენებზე.

„ქალაქში, სადაც ჟურნალისტებს კლავენ, „ქართული ოცნება“ არ წყვეტს თავდასხმას მედიაზე.“ - ამ ტექსტით წარადგინა წამყვანმა სიუჟეტი.

ასევე, „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად 25 ივლისის გადაცემა „პოსტ ფაქტუმის“ შესავალი , სადაც კახა კალაძის საარჩევნო სლოგანთან „მეტი სიცოცხლე ყველა უბანში“ მანიპულაციურად დაკავშირებული იყო გარდაცვლილი ადამიანების გვარები. სტუდიაში იდგა ცარიელი სკამები გარდაცვლილი ადამიანების სახელებით. კახა კალაძის გამოსვლის აუდიოფრაგმენტებს ფონად ედო ვიდეოკადრები - სკამიდან სკამზე გარდაცვლილი ადამიანის გვარები ჩნდებოდა: ზურაბ ჟვანია, სანდრო გირგვლიანი, ბუტა რობაქიძე თემირლან მაჩალიკაშვილი, ლექსო ლაშქარავა და სხვები. გადაცემის წამყვანმა, გიორგი გაბუნიამ უკვე გადაცემის მე-11 წუთზე განმარტა, რომ ეს იყო „ის გვამები, რომლის გავლითაც მოვიდა „ქართული ოცნება“ და ის გარდაცვლილები, რომელიც უკვე ნამდვილად თავისი მმართველობის დროს დაამატა ან დიდი ეჭვია, რომ დაამატა. ასე რომ, ასეთია სიცოცხლით სავსე პრეზენტაცია“.

16 ოქტომბერს „შაბათის მთავარში“ გავიდა სიუჟეტი, რომელიც „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის მიმართ ირონიული იყო და მის დაპირებებს აშარჟებდა. როგორც გადაცემის წამყვანმა დააანონსა, ჟურნალისტმა ბექა ყორშიამ გადაწყვიტა, გაერკვია, მაინც რა დააკლო კალაძემ თბილისსა და თბილისელებს. ავტორმა „ქართული ოცნების“ დეპუტატები საძოვრად გამოსულ ცხვრებს შეადარა და უცენზურო სიტყვებიც გამოიყენა („შენი გენგეგმა მოვ...ან კახი კალაძე“) . ბექა ყორშიამ ვიდეომანიპულაციასაც მიმართა - სოციალური ქსელი TikTok-იდან აღებულ კახი კალაძისა და მისი მეუღლის ვიდეოს „კითხვები წყვილებისთვის“ სხვა ტექსტი დაადო.

ზოგადად, მმართველი პარტიის მერობის კანდიდატების მიმართ ნეგატიურ და მათ მადისკრედიტირებელ სიუჟეტებს კამპანიური (46:45) ხასიათი ჰქონდა. ამ ციკლის მთავარი გზავნილი - „ქართული ოცნების“ მერობის 23 კანდიდატი (ჩამოთვლილია ყოველი მათგანი) გადაბირებული აგენტი ან შსს-ს თანამშრომელია. . ჟურნალისტები არსად უთითებდნენ, რომ მასალების ავთენტურობა დადგენილი არ არის, მხოლოდ ანონიმური წყაროს ინფორმაციას ეყრდნობოდნენ და ამ მძიმე ბრალდებების სხვა მტკიცებულება არ ჰქონდათ.

სამონიტორინგო პერიოდში „მთავარმა არხმა“ ირონიის, იმიჯის დამაზიანებელი შედარებების, არაკორექტული ლექსიკისა და მოვლენების გაშარჟების გამოყენებით მოამზადა „ქართული ოცნების“ დამფუძნებლისა და წევრების შეურაცხმყოფელი არაერთი სიუჟეტი, რომელთა ფორმა და შინაარსი არ ჯდებოდა საინფორმაციო გადაცემების ფორმატში. ასეთ მიდგომას არხი განსაკუთრებით ბიძინა ივანიშვილის მიმართ იყენებდა. აღსანიშნავია, რომ გასული 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, როდესაც ყველაზე მაღალი

უარყოფითი ტონი „ქართულ ოცნებას“ ხვდა წილად, წელს „მთავარი“ ყველაზე უარყოფითად აშუქებდა „ქართული ოცნების“ დამფუძნებელს, ბიძინა ივანიშვილს. მას, როგორც წესი, „რუს ოლიგარქად“, „მამა მარჩენლად“ და ბორის-ბიძინა ივანაშვილად“ მოიხსენიებდნენ.

„მთავარი არხი“ მიკერძოებულად აშუქებდა საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს. სააკაშვილის თემა საინფორმაციო გამოშვების მთავარ თემად იქცა მისი დაპატიმრების შემდეგ. არხი ინტენსიურად აშუქებდა მის დაპატიმრებას, შიმშილობასა და გზავნილებს ციხიდან. ტელეკომპანია მესამე პრეზიდენტის მიმართ საზოგადოების ერთსულოვანი მხარდაჭერის დემონსტრირებას ცდილობდა, მათ შორის საერთაშორისო პარტნიორების, სასულიერო პირებისა და პეტიციის ხელის მომწერთა აქტიური გაშუქებით. 6 ოქტომბრიდან ტელეკომპანიის ეკრანზე გაჩნდა წარწერა #თავისუფლებამიშას. „მთავარი არხი“ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ პატიმრად წარმოჩენას ცდილობდა, ხაზს უსვამდა მის უპირატესობას, შიმშილობის მიუხედავად მხნეობასა და მის მიმართ „ქართული ოცნების“ შიშს. „მთავარი არხი“ მიხეილ სააკაშვილს, ერთი მხრივ, მოიხსენიებდა „მთავარ პოლიტიკურ პატიმრად“, „ივანიშვილის პირად პატიმრად“, მეორე მხრივ კი, „რეფორმატორ პრეზიდენტად“, „ამ ქვეყნის ყველაზე წარმატებულ პრეზიდენტად“, „ნომერ პირველ რეფორმატორად“, „თანამედროვე საქართველოს თავისუფლების სიმბოლოდ“. გარდა მხარდამჭერი სიუჟეტებისა, 6 ნოემბერს „მთავარი არხის“ ჟურნალისტმა, გიგლა თუმანიშვილმა მიხეილ სააკაშვილის სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანის მოთხოვნით რუსთავის ციხესთან შიმშილობა დაიწყო.

მიხეილ სააკაშვილის მიმართ არხისა და ცალკეული ჟურნალისტების მიკერძოებული დამოკიდებულება გამოჩნდა 13 ოქტომბერს არხის ეთერში გასულ მასალაში. ეს იყო ჟურნალისტ თეა ადეიშვილის მიერ საქართველოს მესამე პრეზიდენტისთვის ჩამორთმეული ინტერვიუ. წერილობითი ინტერვიუს ეთერში გაშვებამდე ჟურნალისტმა სააკაშვილისადმი მიწერილი თავისი წერილი გაასაჯაროვა.

„ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე წერილს მოგწერდით და თან ციხეში. გამარჯობა, ბატონო პრეზიდენტო, გადავწყვიტე, ისე მიშა დაგიძახოთ. საქართველოში, ალბათ, იცით, რომ მხოლოდ დიდ მოღვაწეებს მოიხსენიებენ სახელით და ეს ფამილიარობა კი არა, სამუდამო აღიარების და სიყვარულის დადასტურებაა.

ჰოდა, მიშა, როცა ისტორია ამ პერიოდს შეაფასებს, თქვენი ჩამოსვლის, დაკავების, თქვენი ციხეში ყოფნისა და შიმშილობის ეპიზოდი, სევდიანზე უფრო მეტად იქნება ამაღელვებელი, გადამწყვეტად ისტორიული და კულმინაციური.

ალბათ, გაინტერესებთ, რა ხდება გარეთ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, თქვენი ჩამოსვლის შემდეგ რამდენად უფრო სწრაფად დაიწყო საათმა ტრიალი. სხვა ტემპი და მნიშვნელობა მიეცა ყველაფერს და ეს მხოლოდ ჩემი სუბიექტური აღქმა არ არის.

პოლიტიკური სიმპათიის მიუხედავად, უამრავ ადამიანს აქვს იგივე შეგრძნება და სიახლის მოლოდინის დაგუბებული განცდა. თითქოს ყველა ველოდებით რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს, ველოდებით, როდის დაბრუნდება ისევ ჩვენი ქვეყნის გამარჯვების და წარმატების დავიწყებული ემოციები.

მიშა, ყველა ვიდეო, რომელიც თქვენი ჩამოსვლიდან გამოქვეყნებულა, მე მგონი, მთელმა ქვეყანამ უკვე ზეპირად იცის. ბოლოს ტყეში გადაღებული ვიდეო აიტვირთა. საოცრად ემოციური მომეჩვენა, თან ღელავთ და თან ძალიან ბედნიერი ხართ. ეს დისიდენტის კადრებს უფრო ჰგავს.

ბევრი წლის შემდეგ, როცა ყველაფერი უფრო ნათელი გახდება და თქვენს ლეგენდარულ დაბრუნებაზე დოკუმენტურ ფილმებსაც გადაიღებენ, უცილებლად მოხვდება იქ ის მომენტი, როცა თვალს ხუჭავთ და ამბობთ, რომ ეს არის ბედნიერება. მგონია, რომ ყველაზე გულწრფელი და მართალი ხართ მაგ მომენტში.

ზუსტად ვიცი, ისტორიული მომენტის თანამონაწილეები ვართ ყველანი. მთავარი გმირები თქვენ და ჩვენი სამშობლო ხართ და ჩვენც ვართ, „მთავარი არხის“ იდეალისტების გუნდი, რომელიც ასევე არამიწიერი ძალების მქონე ნიკა გვარამიამ შეგვკრიბა და აუღებელ ციხესიმაგრედ გვაქცია. გისურვებთ წარმატებებს და დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნისთვის.“

შესაძლოა, ყველა ჟურნალისტს ჰქონდეს რაიმე მოვლენის მიმართ პერსონალური დამოკიდებულება, მაგრამ მან ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასარიდებლად და მაყურებელზე გავლენის მოხდენისგან თავის ასარიდებლად ყველა გზა უნდა გამოიყენოს. იმ შემთხვევაში, თუ ის ვერ ახერხებს ამ დილემის გადაჭრას, მან უარი უნდა თქვას მასალის მომზადებაზე.





რუსთავი 2

რაოდენობრივი შედეგები

„რუსთავი 2“-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ 9-საათიან „კურიერს“. „რუსთავი 2“-ის ეთერში ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო და ყველაზე დადებითად ადგილობრივი ხელისუფლება გაშუქდა (დროის 47 %). ყველაზე უარყოფითად წარმოჩნდა პარტია „საქართველოსთვის“ (დათმობილი დროის 36 %).



შინაარსობრივი შედეგები

ტელეკომპანია ,რუსთავი 2“ მფლობელის შეცვლიდან ორი წლის თავზე შეუერთდა იმ მაუწყებელთა რიგს, რომლებიც განსაკუთრებით უარყოფითად აშუქებენ ოპოზიციას, მმართველ პარტია „ქართულ ოცნებას“ და მთავრობას კი დადებითად. სამონიტორინგო პერიოდში „რუსთავი 2“-ის სარედაქციო პოლიტიკა, ხელისუფლების უკრიტიკოდ, პოზიტიურ ტონში გაშუქებით „იმედის“ სარედაქციო პოლიტიკისკენ გადაიხარა. არხი მიკერძოებული იყო ხელისუფლების მიმართ და ხშირ შემთხვევაში მისი საქმიანობის პოზიტიურად წარმოჩენას ცდილობდა. ერთი მხრივ, შუქდებოდა დაგეგმილი პროექტები, მეორე მხრივ კი ჟურნალისტები არ სვამდნენ კრიტიკულ კითხვებს ხელისუფლების საქმიანობის შესახებ. „რუსთავი 2“ განსაკუთრებით დადებითად აშუქებდა თბილისის მოქმედი მერისა და „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის, კახა კალაძის საქმიანობას. ეს ტენდენცია განსაკუთრებით არჩევნების წინა დღეებში გამოიკვეთა. მაგალითად, 20 დან 29 სექტემბრამდე „კურიერში“ კახა კალაძეს მიეძღვნა 8 სიუჟეტი, ზოგი მათგანი, 5-6-წუთიანი - დადებითი ტონით. 6 სიუჟეტი დადებით ტონში ასახავდა კალაძის, როგორც მერის, მიერ გაკეთებულ საქმეებს, ხოლო 2 სიუჟეტი - კალაძის, როგორც მერობის კანდიდატის მიერ მომავალი გეგმებისა და საარჩევნო პროგრამების პრეზენტაციას. კამპანიური ხასიათი ჰქონდა და რამდენიმე სიუჟეტი მიეძღვნა წინასაარჩევნოდ კახა კალაძის ინიციატივას ნარკოტესტის ჩაბარებაზე, რომელსაც მას კანონი არ ავალდებულებდა. „კალაძე ამას „ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას“ უწოდებს, თუმცა ამგვარი პოპულარიზაცია არ ხიბლავთ მერობის სხვა კანდიდატებს. ჯერჯერობით არც მელია, არც გახარია და არც მერობის სხვა მსურველები არ აპირებენ, ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ანალიზები ჩააბარონ“, - ამ ტექსტით წარადგინა სიუჟეტი წამყვანმა 6 სექტემბერს. ეს თემა აქტუალური იყო „კურიერისთვის“ 10 და 12 სექტემბერსაც. ამას გარდა, 27 სექტემბერს „რუსთავი 2“-ის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში (50:30) ვრცელი სიუჟეტი მიეძღვნა „ქართული ოცნების“ კლიპის პრეზენტაციას. კალაძის ნახევარწუთიან გამოსვლას წინ უძღოდა ერთწუთიანი კლიპი, რომელიც „კურიერმა“ სრულად ჩასვა სიუჟეტში „ჩემი საქართველო აქ არის“. არანაკლებად ცდილობდა „რუსთავი 2“ საქართველოს მთავრობისა და ხელისუფლების პოზიტიურად წარმოჩენას, - არა ფრაგმენტული და თითო-ოროლა სიუჟეტით, არამედ გარკვეული თემების სისტემატური კამპანიური გაშუქებით. მაგალითად, „კურიერში“ აქტიურად დადებითად შუქდებოდა ინფორმაცია მთავრობის 10-წლიანი გეგმის შესახებ, თუმცა მიზანი საკითხის კრიტიკული გაანალიზება არ ყოფილა. მაგალითად, 7 ივლისს „რუსთავი 2-ის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი ჯანდაცვის სამინისტროს 10-წლიანი გეგმის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე საუბრის დროს წამყვანმა ახსენა, რომ „ეკატერინე ტიკარაძემ აღიარა“, - რაც კრიტიკული შინაარსის შემცველია, - მასალაში მინისტრის საქმიანობის ამ გეგმის შეფასება კი არ ჩანდა, არამედ მხოლოდ მინისტრი და სამინისტრო იყვნენ პოზიტიურად წარმოჩენილი.. „ფარმაცევტული კომპანიებისთვის მტკივნეული გადაწყვეტილებების მიღებას აანონსებს ჯანდაცვის მინისტრი. ეკატერინე ტიკარაძემ დღეს აღიარა, რომ მოქალაქეები და ხელისუფლებაც მედიკამენტების ტარიფის მძევლები არიან - ეს თემა არის ნაწილი სამინისტროს სამომავლო გეგმის, რომლის მთავარ მიზნად დასახელებულია ხელმისაწვდომობა ხარისხიან ჯანდაცვაზე“, - თქვა წამყვანმა. სიუჟეტში არ უხსენებიათ, ადრინდელი დაპირებები ამ საკითხზე რა შედეგით დასრულდა, დარჩა თუ არა დაპირება დაპირებად. არხმა არც ეს შემთხვევა გამოიყენა იმისათვის, რომ ეთქვა, რა ჩავარდნები იყო კორონავირუსის მართვაში. „რუსთავი 2“-ის სარედაქციო პოლიტიკა

ლოიალური იყო კულტურისა და სპორტის მინისტრის, თეა წულუკიანის მიმართაც. მაგალითად, რედაქციის ყურადღება ვერ მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ თეა წულუკიანმა „მთავარი არხის“ ჟურნალისტს მიკროფონი წაართვა და აღარ დაუბრუნა. ამავე დღეს ,,კურიერში“ მაყურებელს მხოლოდ კულტურის მინისტრის კომენტარი შესთავაზეს შალვა ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმის შენობის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე. თეა წულუკიანმა ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა მედია და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები. 22 ივლისს მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს შენობა „არარენტაბელურად“ შეფასდა, რამაც საზოგადოების ნაწილის აღშფოთება გამოიწვია.

მონიტორინგის პერიოდში, წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქების დროს, თვალში საცემი იყო მიკერძოება „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის, კახა კალაძისადმი, რომლის კანდიდატურის წარდგენაც საინფორმაციო გამოშვების დაწყებამდე შედგა და მას 12 წუთზე მეტი დაეთმო, „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს, ნიკა მელიას კი - 4 წუთი. აღსანიშნავია, რომ ნიკა მელიას წარდგენა მთავარ საინფორმაციო გამოშვებას დაემთხვა, თუმცა პირდაპირ ეთერში არ გადაუციათ. ამის საპირისპიროდ, „რუსთავი 2“-მა პირდაპირ ეთერში გადასცა „ქართული ოცნების“ საკრებულოს წევრების წარდგენა 2 აგვისტოს, რომელიც 16 წუთს გაგრძელდა. არხის მიკერძოებისა და ტენდენციური გაშუქების მაგალითად გამოდგება „ნაციონალური მოძრაობის“ ფოთის მერობის კანდიდატისა და მმართველი პარტიის ბათუმის მერობის კანდიდატების დასახელების გაშუქებაც. თუკი „კურიერმა“ გიგი უგულავას („ნაციონალური მოძრაობა“) კანდიდატად დასახელებისას მმართველი პარტიის შეფასებები და ბრალდებები უჩვენა მაყურებელს, „ქართული ოცნების“ ბათუმის მერობის კანდიდატ არჩილ ჩიქოვანზე მხოლოდ პოზიტიური ინფორმაცია გააჟღერა. არც ოპოზიციის შეფასება შესთავაზეს მაყურებელს და არც ის ბრალდება გაიხსენეს, რომელსაც ოპონენტები არჩილ ჩიქოვანს უყენებდნენ, რომ მას კავშირი ჰქონდა მეგის ქარდავასთან, რომელსაც ადამიანის წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაშია დადანაშაულებული. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტიც, რომ ოპოზიციონერი კანდიდატის „ჩრდილოვანი კაბინეტის“ წარდგენას, რომელიც 20 ოქტომბერს „კურიერის“ დაწყებას დაემთხვა, 2 წუთიც არ დაეთმო. ამას მოჰყვა „ქართული ოცნების“ ლიდერების შეფასება/კრიტიკა. „რუსთავი 2“-ის მიკერძოება ჩანდა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების გაშუქების დროსაც. წინასაარჩევნო პერიოდს დაემთხვა სავარაუდოდ სუსიდან გამოჟონილი ფაილების გასაჯაროება 13 სექტემბერს, რომელიც დღის მთავარი თემა გახდა. კრიტიკული მედია ხელისუფლების პასუხისმგებლობას აყენებდა მთავარ საკითხად, „კურიერის“ გამხსნელი სიუჟეტი „რუსთავი 2“- ზე ფაილების საქმე კი არა, არამედ კრიმინალური ამბავი იყო. სუსის ფაილების სკანდალი საინფორმაციო გამოშვებაში მეოთხე სიუჟეტად გაშუქდა. აქტიურად და მიკერძოებულად აშუქებდა „რუსთავი 2“ საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პატიმრობის და შიმშილობის თემას. ამ შემთხვევაში ჟურნალისტების შეფასებები და დასკვნები ძირითადად თანხვედრაში იყო მმართველი პარტიის მესიჯბოქსებთან. 9 ნოემბერს გლდანის ციხეში ე.წ. „შუმოკს“ ჟურნალისტი უწოდებს „პატიმრების პროტესტს“ და არ სვამს კითხვებს. ასევე, არ ისმის შეფასებები, რომლებიც ამ მოვლენას მოჰყვა როგორც უფლებადამცველების, ისე ოპოზიციური პარტიების მხრიდან - იყო თუ არა „შუმოკი“ ორგანიზებული; ლახავს თუ არა ეს გარემო მესამე პრეზიდენტის პატივსა და ღირსებას და უნდა შეფასდეს თუ არა ასეთ გარემოში მისი განთავსება ფსიქოლოგიურ ზეწოლად. ჟურნალისტის ტექსტი: „გლდანის ციხეში პერიოდულად ხმაურია. მიხეილ სააკაშვილის მიმართ პროტესტს პატიმრები სხვადასხვა

უცენზურო სიტყვებით გამოხატავენ. ექსპრეზიდენტის მე-18 სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის სცენარი თავად სააკაშვილის და მისი ადვოკატების მხრიდან ასეთია: ეტაპირების შემდეგ, მანქანიდან გადმოთრევა, ტანსაცმლის შემოხევა, თმებით თრევა და მისი დაბმის მცდელობა. ხელისუფლება ამ ვერსიას არ გამოხმაურებია“. - ნათია ლაზაშვილის ტექსტი. სიუჟეტის ბოლოს შემოდის ხმა იმ პატიმრებისა, რომლებიც ფანჯრებიდან სააკაშვილს შეურაცხმყოფელ სიტყვებს ეძახიან და ჟურნალისტი სიუჟეტს ასრულებს შემდეგი ტექსტით: „გლდანის ციხის დაწესებულებაში მიხეილ სააკაშვილს პატიმრების ხმაურიანი პროტესტის მოსმენა დღესაც მოუწია”.





იმედი

რაოდენობრივი შედეგები

„იმედის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს „ქრონიკა 8 საათზე“ და „იმედის კვირა“. „იმედზე“ ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო და ყველაზე დადებითადაც მთავრობა გაშუქდა (დათმობილი დროის 34 %-ით), ყველაზე უარყოფითად კი მიხეილ სააკაშვილი (დროის 68 % დაეთმო ნეგატიურ შეფასებას) და პარტიებიდან „ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქდა (დროის 59 % დაეთმო ნეგატიურ შეფასებას).



შინაარსობრივი შედეგები

ტელეკომპანია „იმედი“ წელსაც, 2020 წლის არჩევნების მსგავსად, ხელისუფლებისა და მმართველი პარტიისადმი მიკერძოებით გამოირჩევა. მისი სარედაქციო პოლიტიკა იყო ხელისუფლების დადებითად წარმოჩენა და ოპოზიციის დისკრედიტაცია. არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, 18 ოქტომბერს, ტელეკომპანიამ კვლავ ღიად განაცხადა, რომ საგანგებო რეჟიმზე გადადის. მისი მთავარი მიზანია, არ დაუშვას „ნაციონალური მოძრაობის“ რევანში საქართველოში. „ტელეკომპანია „იმედი“ დგას იქ, სადაც აქამდე იდგა და ამ არჩევნების წინაც ჩვენი სარედაქციო პოზიცია იქნება სახელმწიფოებრივი ინტერესებით ნაკარნახევი და საზოგადოებისთვის გამჭვირვალე. ჩვენ კარგად ვიცით, რას ნიშნავს „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობა ხალხისთვის და მედიისთვის და ვერ დავუშვებთ მის რევანშს“, - განაცხადა ტელეკომპანიამ. „იმედმა“ იმავე შინაარსის განცხადება 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინაც გაავრცელა. „იმედზე“ წელსაც გაგრძელდა წინა წლების ტენდენცია და

ხელისუფლების მიმართ კრიტიკა ფაქტობრივად არ ისმოდა. „იმედი“ ხშირად ზუსტად იმეორებდა და პირდაპირ მიჰყვებოდა მმართველი გუნდის მესიჯბოქსს. მონიტორინგის პერიოდში „იმედის“ მიკერძოება მმართველი გუნდისადმი ნათლად ჩანდა ისეთი მნიშვნელოვანი თემების გაშუქებისას, როგორიცაა „5 ივლისის მოვლენები“, „ევროკავშირის მაკროფინანსურ დახმარებაზე უარის თქმა“, „შარლ მიშელის შეთანხმების ანულირება“ და, სავარაუდოდ „სუსიდან გამოჟონილი ჩანაწერები“. მაგალითად, ევროკავშირის მაკროფინანსურ დახმარებაზე უარი წარმოჩენილი იყო, როგორც „სესხზე უარი“ და ამ მოსაზრების გასამყარებლად „მაღალი ეკონომიკური ზრდა“ იყო მოყვანილი, არაფერი თქმულა შეუსრულებელ ვალდებულებებზე, რომლებიც ამ დახმარების მისაღებად იყო საჭირო. „ეკონომიკური ზრდა არის ის მთავარი არგუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც აცხადებს, რომ ვალის შემცირებას იწყებს. ზრდა კი მოსალოდნელზე დიდია - მხოლოდ 7 თვეში, საქსტატის მაჩვენებლით, წინსვლა 12,2 პროცენტია...“ - ამ ტექსტით წარადგინა წამყვანმა სიუჟეტი, სადაც გაჟღერდა ევროკავშირის წარმომადგენლის პოზიცია, თუმცა არა ის ფრაგმენტი, სადაც ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი, ჯულიენ კრამპი ამბობდა, რომ საქართველომ ვერ შეძლო, საკმარისად შეესრულებინა მაკროფინანსური დახმარების მიღების პირობა. „იმედმა“ სახელისუფლებო პოზიციიდან, ანუ ოპოზიციის პასუხისმგებლობაზე კონტექსტით გააშუქა(4:50) „შარლ მიშელის შეთანხმებიდან“ „ქართული ოცნების“ გამოსვლაც. და არც პანდემიის დროს შეფასებულა კრიტიკულად ხელისუფლების მუშაობა, იმის მიუხედავად, რომ ვირუსმა 10 ათასზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა. პირიქით, ამ შემთხვევაშიც მთავრობის კარგი მუშაობით ეკონომიკურ მიღწევებზეა ყურადღება გამახვილებული. მონიტორინგის პერიოდში განსაკუთრებით თვალში საცემი იყო საქართველოს პრემიერმინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილისა და მერობის კანდიდატის, კახა კალაძის დადებითად გაშუქება. არხი ირაკლი ღარიბაშვილის პოზიტიურად წარმოჩენას ცდილობდა მისი საგარეო ვიზიტების პროაქტიური გაშუქებით და მრავალჯერადად გამეორებით, კახა კალაძის დადებითად წარმოჩენა კი ხდებოდა მის შესახებ მომზადებული უაღრესად პოზიტიური, ვრცელი სიუჟეტებით, რომლებიც მისი მერობის პერიოდში განხორციელებული პროექტების ქებას და და მისი სამომავლო გეგმების გაცნობას მოიცავდა. 30 წუთზე მეტრი დრო დაეთმო პირდაპირ ეთერში თბილისის მერობის კანდიდატის წარდგენას „ქრონიკაში“ 20 ივლისს. არხმა განსხვავებული მიდგომა აჩვენა გაერთიანებული ოპოზიციის შეთანხმებული კანდიდატის, ნიკა მელიას შემთხვევაში. მართალია, 23 ივლისს „ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატად დასახელების ცერემონიალი არ დაემთხვა „იმედზე“ საინფორმაციო გამოშვებას, მაგრამ მეორე დღეს ამ ამბავს მხოლოდ 3 წუთი დაუთმო, ამასთან, ნიკა მელიას მიმართვიდან არ გასულა არცერთი სიტყვა. ამ ამბავზე „ქართული ოცნების“ დეპუტატების მხრიდან შეფასებას 70 წამი დაეთმო, სადაც ძირითადი აქცენტი დასმული იყო კახა კალაძის წარმატებებზე. ნიკა მელიას თბილისის მერობის კანდიდატად დასახელებას „იმედმა“ უფრო მეტი დრო გადაცემა „იმედის კვირაში“ დაუთმო - თითქმის 10-წუთიან სიუჟეტში „“მელიამ მელია წარადგინა“ ოპოზიციის კანდიდატების ნეგატიური წარმოჩენა და მათი დისკრედიტაციის მცდელობა შესამჩნევი იყო. „არარეალურ დაპირებებად“, „ცრუ დაპირებებად“ და „ტყუილად“ იყო შეფასებული „იმედზე“ ნიკა მელიას საარჩევნო დაპირებებიც. „ქრონიკა“ დიდ დროს უთმობდა მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებას - პარტიის აქტივობები არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებას ემთხვეოდა. მაგ., 5 აგვისტოს „ქრონიკა“ ქართული ოცნების თბილისის მერობის კანდიდატის, კახა კალაძის საარჩევნო შტაბის გახსნის ღონისძიებით დაიწყო. „იმედმა“ ამ ღონისძიებას, ჯამში, თითქმის

10 წუთი დაუთმო; ასევე, პირდაპირ ეთერში გაშუქდა ნინო ლაცაბიძის წარდგენა რუსთავში, იოსებ ხახალეიშვილის წარდგენა ქუთაისში, არჩილ ჩიქოვანის წარდგენა - ბათუმში, მამუკა წოწორიას წარდგენა ზუგდიდში. გამონაკლისი იყო ფოთი, რომლის მერობის კანდიდატის წარდგენა პირდაპირ ეთერში არ ყოფილა, თუმცა მის შესახებ მომზადდა სიუჟეტი. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისაგან განსხვავებით, წელს „იმედზე“ ოპოზიციურ პარტიებს შედარებით მეტი დრო ეთმობოდა. საინფორმაციო გამოშვებებში მაყურებელს სთავაზობდნენ ოპოზიციის კომენტარებსაც, თუმცა ეს მხოლოდ ფორმალური ბალანსისთვის ან ძირითადად ნეგატიურ კონტექსტში ხდებოდა. მაგალითად, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერს, მიხეილ სააკაშვილს იხსენიებდნენ როგორც „უცხო ქვეყნის მოქალაქეს“, „გაქცეულ ყოფილ მთავარსარდალს“, „რუსთავის ციხის პატიმარს“, „პატიმარ სააკაშვილს“ და „ქვეყანაში შემოპარულ ექსპრეზიდენტს“. „ევროპული საქართველო“ მოხსენიებული იყო, როგორც „პარლამენტიდან გამქრალი, მარტოდ დარჩენილი გიგა ბოკერიას პარტია“; „ლელო“, როგორც „ყოფილი ბანკირების ლელო“, „მესამე ძალა“, როგორც „აღმაშენებლის გზაზე შემდგარი გიორგი ვაშაძის გუნდი“. ოპოზიციიდან შედარებით ნეიტრალურად შუქდებოდა „გირჩი“ და „მოქალაქეები“. ოპოზიციურ პარტიებს შორის შესამჩნევი იყო ყოფილი პრემიერის, გიორგი გახარიას ნეგატიური გაშუქება, რომელსაც „იმედი“ წინა წლებში პოზიტიურად აშუქებდა. წინასაარჩევნო პერიოდში არხი პარტიას „გადამდგარი პრემიერის გუნდად“ მოიხსენიებდა და ცდილობდა, ისე წარმოეჩინა, თითქოს პარტია „საქართველოსთვის“ იშლება. უფრო მეტიც, ამ პარტიის საწინააღმდეგოდ არხმა სპეციალური განცხადებაც გაავრცელა. 1-ელ სექტემბერს კი, როცა საქართველოს ყოფილმა პრემიერმა, გიორგი გახარიამ თავი თბილისის მერობის კანდიდატად დაასახელა, არხმა ეს შემთხვევა მისი დისკრედიტაციისთვის გამოიყენა. „იმედის“ აქცენტი იყო „ქართული ოცნების“ შეთავაზებული ვერსია - „გახარია ვაჭრობდა“. „გადამდგარი პრემიერის სიურპრიზი და მმართველი პარტიის თავმჯდომარის სკანდალური განცხადების შესახებ ვისაუბრებთ, როგორ ივაჭრა გიორგი გახარიამ ყოფილ თანაგუნდელებთან“, - თქვა წამყვანმა ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანიაზე საუბრის დროს. 5 ივლისს განვითარებული მოვლენები, როცა 50-ზე მეტი ჟურნალისტი დაშავდა სიძულვილის ჯგუფების ძალადობის შედეგად, ხელისუფლების კრიტიკის გარეშე გაშუქდა და, პირიქით, პოზიტიურად წარმოჩენით და აღნიშნული იყო, რომ „ირაკლი ღარიბაშვილი დაპირისპირებულ მხარეებს სიმშვიდისკენ მოუწოდებს“. მთელი პასუხისმგებლობა სიძულვილის ჯგუფებზე იყო გადატანილი. „იმედს“ არ უთქვამს, გააკეთა თუ არა ხელისუფლებამ ძალადობის პრევენციისთვის, მათ შორის, ხომ არ იყო ხელისუფლების მხრიდან გაკეთებული განცხადება წამახალისებელი. არხმა ეს შემთხვევაც ოპოზიციის დისკრედიტაციისთვის გამოიყენა. „შეტევა ეკლესიაზე - დავით ბერძენიშვილი და გიგი უგულავა ილია მეორეს და საპატრიარქოს ესხმიან თავს”, - თქვა წამყვანმა მასალის დაანონსების დროს. 13 სექტემბერს, როცა უცნობმა წყარომ ათასობით ფაილი, რომელშიც, დიდი ალბათობით, სასულიერო პირების, ჟურნალისტების, ელჩებისა და პოლიტიკოსების პირადი საუბრების „კრებსები“ იყო, „იმედმა“ ამ დღეს მხოლოდ „ქართული ოცნების“ ოფისში გამართული ბრიფინგი გააშუქა, მისი ეთერში გადაცემით. სხვა ინფორმაცია სავარაუდოდ სუსიდან გაჟონილი ფაილების შესახებ არხს არ მიუწოდებია. „იმედი“ უკიდურესად ნეგატიურად აშუქებდა საქართველოს მესამე პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს. მისი დისკრედიტაცია არხზე განსაკუთრებით მისი ჩამოსვლის და დაპატიმრების შემდეგ დაიწყო. ფაქტები მიჩქმალული იყო და მიხეილ სააკაშვილის დისკრედიტაციის ნიშნებს შეიცავდა 11 ნოემბერს „ქრონიკის“ ეთერში პრიორიტეტულ საკითხად გაშუქებული საქართველოს მესამე პრეზიდენტის რუსთავის პენიტენციური დაწესებულებიდან გლდანში გადაყვანის ამსახველი

კადრები, რომელიც პენიტენციურმა სამსახურმა დამონტაჟებული სახით გაავრცელა. „იმედის“ გაშუქების სტილი არც ამ შემთხვევაში ყოფილა განსხვავებული და იმეორებდა ხელისუფლების პოზიციას - სააკაშვილისთვის არავის არაფერი დაუშავებია და კადრები მაღალი საჯარო ინტერესის გამო გავრცელდა. გარდა ამისა, არხმა ეჭვქვეშ დააყენა, რომ შიმშილობის 39-ე დღეს სააკაშვილის მდგომარეობა „უკიდურესად სუსტად“ იყო. „მიხეილ სააკაშვილი არც თმით უთრევიათ, არც კისერში ჩაურტყამთ და არც ანალიზის აღებისას უძალადიათ. ისტორია, რომელიც პატიმარმა გლდანის ციხიდან წერილობით გაავრცელა, მისმა მომხრეებმა და ადვოკატებმა წამებასთან გათანაბრებულ მოპყრობად შეაფასეს. გავრცელებული სპეკულაციების დასასრულებლად პენიტენციურმა სამსახურმა ციხიდან ეტაპირების მასალა გაავრცელა... რაც შეეხება უკიდურეს სისუსტეს და ავად ყოფნას - ვიდეომასალას არც ეს ცნობა შეესაბამება“, - თქვა წამყვანმა.





ტვ პირველი

რაოდენობრივი შედეგები

„ტვ პირველის“ ეთერში მონიტორები ყოველდღიურ მთავარ საინფორმაციო გამოშვება „პირველებს“ და „ნოდარ მელაძის შაბათს“ აკვირდებოდნენ. ამ არხზე ყველაზე ბევრჯერ „ქართული ოცნება“ გაშუქდა (დროის 68 % უარყოფითი ტონით), ყველაზე უარყოფითი გაშუქება კი დათმობილი ჰქონდა მთავრობას (დროის 74 % უარყოფითი ტონით). არხზე ყველაზე დადებითად მიხეილ სააკაშვილი გაშუქდა (დროის 18 % დადებითი ტონით).



შინაარსობრივი შედეგები

„ტვ პირველი“ ხელისუფლების მიმართ კრიტიკული და ოპოზიციის მიმართ ლოიალური არხია. მონიტორინგის პერიოდში „ტვ პირველი“ მაუწყებლობდა ხელისუფლებასთან მკვეთრი დაპირისპირებისა და პროტესტის პირობებში. არხის სარედაქციო პოლიტიკა ძირითადად 2021 წლის 5 ივლისის მოვლენებმა განაპირობა. 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენების შედეგად, როდესაც მძიმედ დაშავდა მედიის 53 წარმომადგენელი და ფიზიკური ძალადობის შედეგად გარდაიცვალა ტელეკომპანია „პირველის” ოპერატორი ლექსო ლაშქარავა, კრიტიკული მედიის წარმომადგენლებმა საპროტესტო აქციები გამართეს. მათი მთავარი მოთხოვნა იყო პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილისა და შინაგან საქმეთა მინისტრის, ვახტანგ გომელაურის გადადგომა.

მათი მტკიცებით, 5 ივლისის ინციდენტი იყო ხელისუფლების მიერ ორგანიზებული რეიდი, რომელიც ოპოზიციურად განწყობილი მედიის დასჯას ისახავდა მიზნად. ამ მოსაზრების მტკიცებულებად ყველაზე ხშირად მოჰყავდათ 5 ივლისს პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, რომლის თანახმადაც პრაიდი არ უნდა ჩატარებულიყო, რადგან ეს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მიუღებელია და სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს შეიცავს.

14 ივლისს „ტვ პირველმა“, პროტესტის ნიშნად მაუწყებლობა 24 საათით შეწყვიტა პრემიერ-მინისტრის გადადგომის მოთხოვნით.

15 ივლისიდან მაუწყებლობა აღდგა, თუმცა პროტესტი გაგრძელდა, რეპორტიორები და წამყვანი სახეები პრესკონფერენციებისა თუ ქუჩაში კომენტარების აღების პროცესში მოძრაობდნენ გარდაცვლილი ოპერატორის ფოტოებით, ეცვათ მაისურები ლექსო ლაშქარავას ფოტოპრინტით, მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებს აწყვეტინებდნენ პრესკონფერენციებს და მათ ადგილას დგებოდნენ საპროტესტო პლაკატებით. პროტესტის მთავარი მიზანი იყო პრემიერი ღარიბაშვილისა და მთავრობის გადადგომა, ჟურნალისტები არაერთგზის მიმართავდნენ პრემიერს შეკითხვით „როდის გადადგებით?“.

ხელისუფლებასთან კონფლიქტის რეჟიმში მუშაობის ფონზე „ტვ პირველი“ საინფორმაციო გამოშვებებში არ იცავდა მიუკერძოებლობის, ბალანსისა და ინფორმაციის გადამოწმების ჟურნალისტურ სტანდარტს. საინფორმაციო გადაცემებში სამონიტორინგო პერიოდში გასული სიუჟეტების დიდ ნაწილში ირღვეოდა ბალანსი „ქართული ოცნების“, პრემიერ-მინისტრის, მთავრობისა ან ადგილობრივი მთავრობის საზიანოდ. ჟურნალისტები ხშირად სუსტ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაუსაბუთებელ ინფორმაციას ავრცელებდნენ. მაგალითად, „პირველების“ რედაქცია ავრცელებდა მოსაზრებას, რომ ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომა გარდაუვალი იყო. მათი თქმით, ღარიბაშვილს გადადგომას სთხოვდნენ ევროპისა და აშშ-ს ხელისუფლებები, მასთან შეხვედრაზე უარს ამბობდნენ თეთრი სახლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და ევროკავშირის სტრუქტურების მმართველი ძალები.

8 ივლისის „პირველებში“ აღნიშნეს, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები ღარიბაშვილის გადადგომას ელოდება“ (35.08-35.15), თუმცა სიუჟეტიდან ირკვევა, რომ ღარიბაშვილის გადადგომას დასავლეთის ოფიციალური ხელისუფლებები კი არ ითხოვენ, არამედ პოლიტოლოგი დევიდ კრამერი, რომელიც „ქართული ოცნების“ ღია ოპონენტია. ავტორის ტექსტი:

„სანამ რუსეთი საქართველოში მოწყობილი არეულობით და ძალადობის წამახალისებელი პრემიერით ამაყობს, დასავლეთი ღარიბაშვილისთვის სანქციების დაწესებას ითხოვს, ოღონდ სანქციებამდე მის გადადგომას ელოდება.“ დარბეული აქტივისტები-მოსკოვი ზეიმობს” (37:54)

ამ ტექსტს მოსდევს მხოლოდ დევიდ კრამერის კომენტარი. სხვა რაიმე მტკიცებულება, რომ დასავლეთი ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომას ელოდება, სიუჟეტში წარმოდგენილი არ ყოფილა. შემდეგ 9 ივლისის „პირველებში“ წამყვანები მაყურებელს არწმუნებდნენ,

რომ „ივანიშვილის პოლიტიკურ მემკვიდრეებს პოლიტიკური განსაცდელის ჟამი დაუდგათ“ , სიუჟეტის „პრემიერი შეცვლის ზღვარზე“ (5:25-19:35) ავტორის მტკიცებით, ირაკლი ღარიბაშვილი გადადგება, რადგან დასავლეთმა 5-6 ივლისის მოვლენების შემდეგ მასთან, როგორც პრემიერ-მინისტრთან, თანამშრომლობა აღარ ისურვა, მის ადგილს კი დასავლეთისთვის უფრო მეტად მისაღები კადრი, პარლამენტის ამჟამინდელი თავმჯდომარე კახა კუჭავა დაიკავებს. „პირველების“ რეპორტიორი ამ ამბავს „ქართული ოცნების“ შიდა წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს. თუმცა ყველა რესპონდენტი, რომელიც სიუჟეტშია ჩაწერილი, ასეთ პერსპექტივას უარყოფს.

ეთიკური გადაცდომები ხშირად ვლინდებოდა ჟურნალისტებისა თუ წამყვანების ტექსტებში (ლექსიკაში). ხელისუფლებისა და მმართველი პოლიტიკური ძალის მიმართ გამოყენებული იყო დაცინვა, ირონია, ქილიკი, რადიკალიზაცია („საქართველოს სახელმწიფოებრიობას ბოლო აგური გამოეცალა“) და სხვა დამამცირებელი ხერხები. სუბიექტივიზმი, მიკერძოებულობა, ფაქტების დამახინჯება - მსგავსი გადაცდომები უფრო გამოკვეთილია გადაცემაში „ნოდარ მელაძის შაბათი“.

სამონიტორინგო პერიოდში „ტვ პირველი“ პრემიერ-მინისტრთან ერთად განსაკუთრებით უარყოფითად ქართული ოცნების დამფუძნებელს, ბიძინა ივანიშვილს აშუქებდა. კერძოდ, 4 სექტემბერს “ნოდარ მელაძის შაბათში” (1:17) გასული სიუჟეტი ივანიშვილის დისკრედიტაციის მცდელობის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ეთერში გავიდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ბიძინა ივანიშვილის სატელეფონო ჩანაწერების ფრაგმენტები. ასეთი სკანდალური ჩანაწერი, რომელიც უშუალოდ ეხება ბიძინა ივანიშვილს, ჩვენ არ მოგვისმენია - ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ყველაზე დაცული მოქალაქის აუდიოფაილებმა გამოჟონა ყველაზე დაცული უწყებიდან“. - თქვა წამყვანმა.

მასალა მუსიკით არის გაფორმებული და მაყურებლისთვის ძნელი აღსაქმელია ის ქრონოლოგია, რომელიც ტელევიზიამ შესთავაზა საკუთარი ვერსიის გასამყარებლად.

„ბიძინა ივანიშვილის კავშირები რუსეთის ხელისუფლებასთან. როგორ ემზადებოდა საქართველოს დასატოვებლად აგვისტოს ომის შემდეგ ქვეყნის არაფორმალური მმართველი და როგორ ეუბნებოდა შუამავლების საშუალებით რუსეთის ხელისუფლებას, რომ საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებაზე აგვისტოს ომის შემდეგ დარტყმისთვის ემზადებოდა. ეს კიდევ ზღვაში წვეთია იმ აუდიოჩანაწერებთან შედარებით, რომელსაც დღეს თქვენ ექსკლუზიურად შაბათის ეთერში მაკა ჩიხლაძის ჟურნალისტურ გამოძიებაში მოისმენთ. სიუჟეტში ჟურნალისტი ამტკიცებს, რომ „იმ დროს, როდესაც საქართველოს მაშინდელი მთავრობა დაკავებული იყო იმით, რომ მაშინ სახლიდან გამოყრილი ათასობით მოქალაქისთვის დროებითი თავშესაფარი ენახა და ჯერ კიდევ ჭირისუფლები ვიყავით, ვკრძალავდით დაღუპულ ჯარისკაცებს და სამოქალაქო პირებს, ზუსტად ეს პერიოდია, როდესაც ბიძინა ივანიშვილის პირდაპირ ხაზზეა მოსკოვთან, უბრალოდ მოსკოვთან კი არა, კრემლის ოფიციალურ წარმომადგენლებთან...“

მიუხედავად იმისა, რომ ნათქვამი იყო, რომ ეს ჩანაწერი წლების წინ, ჯერ კიდევ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამდეა გაკეთებული, ამას ისე ჰყვება ჟურნალისტი, ტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს ეს უახლოეს წარსულში მოხდა:

„აუდიოფაილების პაკეტი, რომელიც ჩვენს ხელში აღმოჩნდა, მძიმე მოსასმენია. ამ ჩანაწერით დგინდება, რომ ჩვენი ქვეყნის არაფორმალური მმართველი მოსკოვთან პირდაპირ კავშირზეა, ეშინია რუსეთის ხელისუფლების, ცდილობს, არ გააბრაზოს პუტინი და ოკუპანტი ქვეყნის მმართველების მონურ მორჩილებაში იმყოფება. ამ დრომდე მხოლოდ პოლიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ივანიშვილი რუსეთის კაცია, ახლა გვიჭირავს ხელში ფაქტები, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ აგვისტოს ომის შემდეგ ივანიშვილი რუსეთის ხელისუფლებასთან პირდაპირ კავშირზე იყო“.

ბიძინა ივანიშვილის მიმართ სხვა დაუსაბუთებელ ბრალდებებთან ერთად ზოგჯერ „ტვ პირველი“ ავრცელებდა ინფორმაციას, რომ ის ქვეყნიდან გარბის ან უკვე გაიქცა . მათ შორის 4 ნოემბერს არხმა „ბიძინა ივანიშვილის“ საქართველოდან გაქცევის კონტექსტით მოამზადა სიუჟეტი „ემზადება თუ არა ბიძინა ივანიშვილი გასაქცევად“(20), რომელშიც ლაპარაკია მისი კუთვნილი ჯავშნიანი მანქანების გაყიდვაზე. იმის მიუხედავად, რომ ივანიშვილი მილიარდობით ლარის ქონებას ფლობს, არხი მაყურებელს წყაროზე დაყრდნობით უყვებოდა, რომ „ჩალის ფასად“ მანქანების „ქვეყნიდან გაქცევის“ მოტივით ყიდის. „რატომ გადაწყვიტა ივანიშვილმა ავტომობილების გაყიდვა მაინცდამაინც ახლა - წყარო „პირველებს“ უყვება, რომ ოლიგარქი ქვეყნიდან წასასვლელად ემზადება და, შესაბამისად, აქ გადასაადგილებლად ტყვიაგაუმტარი მანქანები უბრალოდ აღარ სჭირდება“, - თქვა წამყვანმა. თუმცა ჟურნალისტს არავინ უდასტურებდა ამ ფაქტს, იმავე პათოსს ატარებდა სიუჟეტიც. „ივანიშვილების ოჯახიდან ქვეყანაში ისევ მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი რჩება. ისიც წასასვლელად ემზადება. ამიტომ ყიდის ყველაფერს, რაც ჯერ კიდევ მის სახელს უკავშირდება - სად მიდის და რატომ - „ოცნებაში“ არ იციან, ან ცდილობენ, მოგვაჩვენონ, რომ არ აინტერესებთ“, - თქვა ჟურნალისტმა.

„ტვ პირველი“ არ აშუქებდა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიას - მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არ გადიოდა სიუჟეტები მმართველი პარტიის კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამის შესახებ და „ტვ პირველის“ მაყურებელი ვერც იმის შესახებ იღებდა ინფორმაციას, თუ რას გეგმავს მმართველი პარტიის თბილისის მერობის კანდიდატი და ვერც იმისა, თუ რომელ რაიონში ვინ წარადგინა მერობის კანდიდატად „ქართულმა ოცნებამ“. მაგალითად, 20 ივლისს „ქართული ოცნებიდან“ თბილისის მერობის კანდიდატად კახა კალაძის წარდგენის დღეს, საინფორმაციო გამოშვება ამ ამბით დაიწყო. მართალია, ჟურნალისტის ჩართვა მთაწმინდიდან 27 წუთს გაგრძელდა, საზეიმო ცერემონიიდან ეთერში არცერთი სიტყვა არ გასულა. გაყოფილ ეკრანზე წარდგენის ცერემონიალი უხმოდ გადიოდა, ადგილიდან მომუშავე ჟურნალისტების მთავარი კითხვა მოწვეულ სტუმრებთან კი ასე ჟღერდა: „გიქმნით თუ არა უხერხულობას ის, რომ კახა კალაძის მერად წარდგენის ცერემონიალზე დასწრება 5 ივლისის მოძალადეების მხარდაჭერაა?“.

„მთაწმინდა ჩაკეტილია. „ქართული ოცნების“ პარტიული ღონისძიების გამო უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომებია მიღებული. დღეს პარტიულ ღონისძიებაზე მისული ცნობილი სახეები უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ - თან „ოცნების“ მიწვევაზე უარს ვერ ამბობდნენ, თან ძალადობას ვერ ამართლებდნენ...“.

23 სექტემბერს ფაქტების მიიჩქმალა და „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ნეგატიურ კონტექსტით გაშუქდა თბილისში ევროკავშირის წარმომადგენლობის ოფისთან ნიკა მელიასა და ირაკლი კობახიძეს შორის დაპირისპირება.

მასალაში არ იყო დაცული სიზუსტე, არ ჩანდა, ვინ იყო კონფლიქტის წამომწყები, თუმცა ჟურნალისტმა ნიკა მელიას გამართლება ასე სცადა:

„მათი დაპირისპირება გამოიწვია ირაკლი კობახიძის განცხადებამ, რომელმაც გარკვეული ტიპის განცხადება გააკეთა გუშინწინ დმანისში განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია ნიკა მელიას გაღიზიანება. საბოლოოდ, მოხდა ისე, რომ ირაკლი კობახიძემ დაცვის საშუალებით დატოვა აღნიშნული ტერიტორია“, - ასე მიანიშნა პირდაპირ ეთერში მდგარმა ჟურნალისტმა იმაზე, რომ ირაკლი კობახიძეს „გაქცევა მოუწია“.

იმავე პათოსის მატარებელი იყო წამყვანების ტექსტებიც: „ოცნების თავმჯდომარის ევაკუაცია ადგილიდან მისმა დაცვამ მოახდინა“, „კობახიძეს მელიასგან კანონიერი ქურდების ცნობილი ადვოკატი იცავდა. გულნარა ანდღულაძემ ლიდერებს ერთმანეთის ცემის საშუალება არ მისცა“, „კობახიძე მანქანამდე დაცვის კორდონმა მიაცილა“.

მანიპულაციური იყო სიუჟეტის სხვა ნაწილიც. მაგალითად, ის ფაქტი, როცა მელია კობახიძესთან მივიდა და შეურაცხყოფას აყენებდა, არხმა ასე მიაწოდა მაყურებელს:

„ვითარება ჭავჭავაძის გამზირზე მას შემდეგ დაიძაბა, რაც ირაკლი კობახიძემ ნიკა მელიას ხელი აუკრა... ამის შემდეგ კობახიძე-მელია ლამის ხელჩართულ ჩხუბში ჩაერთნენ... მელია ევროკავშირის ოფისში შესასვლელად ემზადებოდა, თუმცა კობახიძის რეპლიკის შემდეგ ყველაფერი თავიდან დაიწყო“.

„პირველები“ აქტიურად აშუქებდა 2021 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს და 30 ოქტომბერს, არჩევნების მეორე ტურის დასრულების შემდეგ, ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ ყველა საპროტესტო გამოსვლასა და აქციას - ის ყოველთვის იყო მოვლენების ეპიცენტრში და ოპოზიციურ პარტიებს, განსაკუთრებით კი აქტიურად აშუქებდა„ნაციონალური მოძრაობის“ აქტივობებს. ასევე, გამოიკვეთა, რომ გარკვეულწილად დადებითად შუქდებოდა ყოფილი პრემიერ-მინისტრი, გიორგი გახარია. „პირველებში“ წარსულის კრიტიკა ნაკლებად ისმოდა და მუდმივად იმ კონტექსტში ჩანდა, რომ მისი რეიტინგი მაღალია და პოლიტიკოსების რეიტინგის ტოპ სამეულშია.

სააკაშვილის ქვეყანაში დაბრუნება და ამის შემდგომ განვითარებული მოვლენები იმგვარად შუქდებოდა, რომ სააკაშვილის ფიგურა, მისი როლი და მისია მკვეთრად დადებითად იყო წარმოჩენილი. „პირველები“ ასევე აქტიურად, ყოველდღიურ რეჟიმში აშუქებდა მიხეილ სააკაშვილის შიმშილობას და მისი დაკავების შემდეგ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ყველაზე დიდი დრო საკაშვილის გაშუქებას ეთმობოდა.


სუბიექტების პირდაპირი/ირიბი გაშუქება(%)
ტვ პირველი
5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021
პირდაპირი
ირიბი
ქართული ოცნება 13:40:44
19
81
მთავრობა 11:36:07
10
90
მიხეილ სააკაშვილი 10:01:15
99
ნაციონალური მოძრაობა 06:24:31
69
31
საქართველოსთვის 01:53:56
42
58
ადგილობრივი მთავრობა 01:38:08
83
ბიძინა ივანიშვილი 01:26:27
96


სუბიექტების გაშუქება (%)
ტვ პირველი
5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021
25%
21%
19%
12%
3%
3%
3%
14%
ქართული ოცნება
მთავრობა
მიხეილ სააკაშვილი
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოსთვის
ადგილობრივი მთავრობა
ბიძინა ივანიშვილი
სხვა

ტვ 25

რაოდენობრივი შედეგები

„ტვ 25“-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ ყოველდღიურ მთავარ საინფორმაციო გამოშვება „მაცნეს“ . ამ არხზე ყველაზე ბევრჯერ და უარყოფითად „ქართული ოცნება“ გაშუქდა (დროის 55 % უარყოფითი ტონით). არხზე ყველაზე დადებითად მიხეილ სააკაშვილი გაშუქდა (დროის 20 % დადებითი ტონით).



შინაარსობრივი შედეგები

„TV 25“ ძირითადად რეგიონულ ამბებზე ფოკუსირებული მაუწყებელია. თუმცა მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში მაყურებელს აქვს შესაძლებლობა, ნახოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიახლეებიც, რომლებიც რეგიონს გარეთ ხდება. TV 25 „ქართული ოცნებისა“ და ხელისუფლების მიმართ კრიტიკულია და არის შემთხვევები, როცა ბალანსი მათ საზიანოდ ირღვევა. თუმცა „ტვ 25“ აქტიურად აშუქებს რეგიონში მიმდინარე მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებსაც, რომლებიც ხელისუფლების შესახებ პოზიტიურ წარმოდგენას ქმნის.

აღსანიშნავია, რომ არხზე მთავარი გამოწვევა სიღრმისეული მასალების ნაკლებობა და მომზადებულ მასალებში არსებული პრობლემების დასაბუთებაა. TV 25 არ ერიდება ხელისუფლების კრიტიკას და ამ დროს ზოგჯერ არღვევს ეთიკური ჟურნალისტიკის სტანდარტებს. მაგალითად, 22 ივლისს „მაცნეში“ გავიდა დაუსაბუთებელი და დაუბა-ლანსებელი ინფორმაცია „ენმ ხელისუფლებას კორუფციაში ადანაშაულებს“, სადაც მხოლოდ

ხელისუფლების მიმართ „ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი წარმომადგენლის ბრალდებები გაისმა და ის 59 მილიონი ევროს ღირებულების სამუშაოებზე ტენდერის სავარაუდო მოგებას აანონსებდა.

აღსანიშნავია, რომ სიუჟეტში კორუფციის სავარაუდო ფაქტზე რაიმე სახის დამატებითი მტკიცებულება არ იყო მოძიებული, ფორმალური ბალანსიც კი არ იყო დაცული და საპასუხოდ ხელისუფლების არცერთი წარმომადგენელი არ ჩაუწერიათ, არც კომენტარის მოპოვების მცდელობაც ჩანდა.

ისევე, როგორც ხელისუფლების მიმართ კრიტიკულმა სხვა არხებმა, TV25-მა 5 ივლისს თბილისის ქუჩებში მომხდარ ძალადობაზე ხელისუფლების პასუხისმგებლობა გამოკვეთა.

„კანონდარღვევებზე პოლიცია არ რეაგირებდა... „ქართული ოცნების“ პრემიერმა ძალადობა წაახალისა და, პუტინისტური დაჯგუფების წევრების მსგავსად, პრაიდის გამართვა მიზანშეწონილად არ მიიჩნია“, - ისმოდა გადამცემის ანონსში, რომლის პირველი ნაწილი მთლიანად 5 ივლისის მოვლენების გაშუქებას დაეთმო.

მართალია, ტენდენციის სახე არ ჰქონია, მაგრამ იყო შემთხვევა, როცა საინფორმაციო გამოშვებაში სარეკლამო მასალა გავიდა. მართალია, ნიშან R-ის მითითებით, მაგრამ მაუწყებლობის შესახებ კანონით ამგვარი მასალების საინფორმაციო გამოშვებაში განთავსება აკრძალულია.





რიონი

რაოდენობრივი შედეგები

ტელეკომპანია „რიონის“ ეთერში მონიტორები ყოველდღიურ საინფორმაციო გამოშვება „დღის ამბებს“ აკვირდებოდნენ. ამ არხზე ყველაზე მეტი დრო მთავრობას დაეთმო და ყველაზე დადებითად „ქართული ოცნება“ გაშუქდა (დროის 34 % დადებით ტონით). არხზე ყველაზე უარყოფითად მიხეილ სააკაშვილი გაშუქდა (დროის 25 % უარყოფით ტონით).



შინაარსობრივი შედეგები

ტელეკომპანია „რიონი“ ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი რეგიონული მაუწყებელია. ეს გამოიხატება კრიტიკული თემების სიმცირითა თუ ზედაპირული გაშუქებით, ასევე „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის პოზიტიურად წარმოჩენით.

არხი ზედაპირულად აშუქებს არა მხოლოდ რეგიონს გარეთ მიმდინარე მოვლენებს, არამედ იმერეთში მომხდარ ამბებსაც. რეგიონს მიღმა ამბები ძირითადად სახელმწიფო უწყებების მიერ გავრცელებული ვიდეოკადრებია, რომლებიც, როგორც წესი, მათ პოზიტიურად წარმოაჩენს.

წინასაარჩევნო პერიოდში არხი ძირითადად მშრალად და ზედაპირულად მიმოიხილავდა პარტიებისა და კანდიდატების წინასაარჩევნო დაპირებებს. აქვე აღსანიშნია, რომ დიდი დრო ეთმობოდა კორონავირუსის პანდემიას, რამდენჯერმე იყო შემთხვევა, რომ მას საინფორმაციო გამოშვების ნახევარიც კი დაეთმო, თუმცა ხელისუფლების კრიტიკის გარეშე (მაგალითად, 6 -7 სექტემბერს).

ტელეკომპანია „რიონი“ მუდმივად აშუქებს რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს ხელისუფლების დადებითად წარმოჩენის გზით. მაგალითად, 19 აგვისტოს მომზადებული სიუჟეტი ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, სადაც პოზიტიურად ჩანდა მერი, რომელიც ამავდროულად მერობის კანდიდატიც იყო . აღსანიშნავია ისიც, რომ სიუჟეტში არ ისმოდა არანაირი ალტერნატიული მოსაზრება ექსპერტის ან ოპოზიციის წარმომადგენლის მხრიდან, რამდენად სწორად იხარჯება ფული, ხომ არ იყო კორუფციის რისკი, ან რა ობიექტური გარემოებები არსებობდა ამ პროექტის სწორედ ახლა და არა უფრო ადრე დასაწყებად.

„რიონის“ საინფორმაციო სამსახური უყურადღებოდ არ ტოვებს „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატისა აქტივობებს, მათ შორის უმნიშვნელოსაც.

მაგალითად, არხმა 20 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით კანდიდატის, მინიმუმ, 10 აქტივობა გააშუქა. მათ შორის იყო: „იოსებ ხახალეიშვილს თეიმურაზ შაშიაშვილმა ღია მხარდაჭერა გამოუცხადა“; „ჩემი მიზანია, ქუთაისი ახალგაზრდული სიცოცხლის ქალაქი იყოს“; „მწერალი, დრამატურგი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე ქუთაისში კიდევ ერთხელ გაიხსენეს“; „ქუთაისი ახალგაზრდებისთვის მიმზიდველ ქალაქად უნდა ვაქციო“; „იოსებ ხახალეიშვილმა ინტელიგენციასთან მორიგი შეხვედრა გამართა“; „იოსებ ხახალეიშვილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ მოქალაქეებს შეხვდა“; „საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, მერობის კანდიდატის შეხვედრები საზოგადოების წარმომადგენლებთან გრძელდება“; „იოსებ ხახალეიშვილი სულხან-საბას ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა“; „იოსებ ხახალეიშვილი გუმათის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა“; „ქუთაისის მერობის კანდიდატის შეხვედრები გრძელდება“; „გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს“.

გაცილებით უფრო ნაკლებად ჩანდა იოსებ ხახალეიშვილის კონკურენტი „ნაციონალური მოძრაობიდან“ ხატია დეკანოიძე. გარდა ამისა, დეკანოიძე მერობის კანდიდატად 15 აგვისტოს, კვირას დაასახელეს, როდესაც „რიონის“ საინფორმაციო გამოშვება არ გადის.

თუმცა აღსანიშნავია, რომ მაყურებელმა ქუთაისის ოპოზიციური კანდიდატის დასახელება ვერც მეორე დღეს, 16 აგვისტოს გაიგო.

სამონიტორინგო პერიოდში გამოიკვეთა არაერთი შემთხვევა, როცა „დღის ამბებში“ უცვლელად გავიდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ გავრცელებული ტექსტი როგორც სარედაქციო მასალა. ასე მოხდა 6 აგვისტოსაც როცა „რიონის“ ეთერში გაშუქდა ჯანდაცვის მინისტრის, მისი მოადგილისა და აშშ-ს ელჩის ახალციხის რეფერალურ საავადმყოფოში ვიზიტი კორონავირუსის ვაქცინაციის პროცესთან დაკავშირებით.





გურჯაანი

რაოდენობრივი შედეგები

ტელეკომპანია „გურჯაანის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ ყოველდღიურ საინფორ-მაციო გამოშვებას „დღეს“. ამ არხზე ყველაზე მეტი დრო მთავრობას დაეთმო და ყველაზე დადებითადაც მთავრობა გაშუქდა (დროის 31 % დადებით ტონით). არხზე ყველაზე უარყოფითად მიხეილ სააკაშვილი გაშუქდა (დროის 22% უარყოფითი ტონით).



ტელეკომპანია „გურჯაანი“

ხელისუფლებისა და მმართველი პარტიისადმი მიკერძოებული არხია. მონიტორინგის პერიოდში უკრიტიკოდ, მიკერძოებულად შუქდებოდა ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობის საქმიანობა. თითქმის არ გვხვდება კრიტიკული სიუჟეტები ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის მიმართ. ტელეკომპანია „გურჯაანი“ ახალ ამბებს ძირითადად ზედაპირულად აშუქებდა. საინფორმაციო გამოშვებაში თითქმის არ გვხვდებოდა სიღრმისეული და ანალიტიკური სიუჟეტები.

საინფორმაციო გამოშვებაში გასული სიუჟეტები ძირითადად შედგება აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა კომენტარებისგან, სადაც არ გვხვდება ოპოზიციურად ან კრიტიკულად განწყობილი სხვა აქტორების შეფასებები. ძირითადად შუქდება, დიდი ალბათობით, სახელმწიფო უწყებებიდან მიღებული მასალები. ამ მხრივ შესამჩნევია თავდაცვის სამინისტროს შესახებ მასალები. გარდა ამისა, მაყურებელმა ნახა სხვადასხვა მინისტრის მიერ წარდგენილი 10-წლიანი გეგმა.

წინასაარჩევნო პერიოდში - აგვისტოში საინფორმაციო გამოშვება ეთერში არ გასულა.

ტელეკომპანია „გურჯაანის“ ერთ-ერთ მთავარ ტენდენციად შეიძლება დასახელდეს ტელევიზიის განსაკუთრებული ინტერესი რეგიონის მასშტაბით დაგეგმილი ინფრასტრუ-ქტურული პროექტების მიმართ, სადაც ხელისუფლება დადებითად წარმოჩნდებოდა. ეს მიკერძოება გამოიხატებოდა როგორც შესაბამისი სიუჟეტების მომზადებით, ისე საინფორმაციო გამოშვებისთვის შერჩეული სტუმრებით, ინტერვიუს კითხვებით და მათ მიმართ წამყვანის დამოკიდებულებით.

აღსანიშნავია, რომ ბალანსი შენარჩუნებული იყო საარჩევნო სუბიექტების გაშუქების დროს, თუმცა ამ შემთხვევაში არ იყო დასმული კითხვა „რატომ ვერ გადაჭრა პრობლემა მოქმედმა მერმა?“.

მაგალითად, თვითმმართველობის არჩევნებამდე დაახლოებით 10 დღით ადრე მომზადდა მასალა იმის შესახებ, თუ როგორ აპირებენ „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ გურჯაანის მერობის კანდიდატები ტრანსპორტის პრობლემის მოგვარებას. ამავდროულად, გაშუქდა ლაგოდეხის ორივე კანდიდატის ხედვები - რა ჰქონიათ მათ პრობლემა მუნიციპალიტეტში. ასევე, გავიდა მასალა თელავის მერობის კანდიდატების შესახებ.

ცალკე უნდა აღინიშნოს თვითმმართველობის არჩევნების წინ გურჯაანის ტელევიზიაში „ქართული ოცნების“ ლიდერისა და პარლამენტში გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატის, დავით სონღულაშვილის 12-წუთიანი ინტერვიუ, რომელიც სრულიად პოზიტიურად წარმოაჩენდა მმართველ პარტიას.

5 ივლისს, როდესაც 50-ზე მეტ ჟურნალისტზე თბილისის ცენტრალურ ქუჩებში გამოსულმა სიძულვილის ჯგუფებმა იძალადეს, „გურჯაანის“ საინფორმაციო გამოშვება საქართველოდან ატმისა და ვაშლატამას ექსპორტის გაზრდით დაიწყო. თუკი ხელისუფლების მიმართ სხვა სატელევიზიო არხები ხელისუფლების პასუხისმგებლობის გამოკვეთისგან იკავებდნენ თავს არხმა პოზიტიურ კონტექსტში წარმოაჩინა სასულიერო პირები, რომლებიც იმ დღის აქციის ორგანიზატორები იყვნენ. გარდა ამისა, მასალაში მიჩქმალული იყო მნიშვნელოვანი დეტალები.

„თბილისში, ქაშვეთის ეკლესიაში დაგეგმილ პარაკლისს გურჯაანის მუნიციპალიტეტიდანაც შეუერთდნენ. დედაქალაქში სასულიერო პირები და მრევლი დღეს დილით გაემგზავრნენ. გურჯაანის გარდა, თბილისში სხვა მუნიციპალიტეტებიდანაც ჩავიდნენ... გურჯაანის სამების ტაძრის მოძღვრის, მამა ვაჟა სონღულაშვილის განმარტებით, მათთვის ე.წ. „ღირსების მარში“ მიუღებელია, რადგან ეს ქართულ ადათ-წესებს ეწინააღმდეგება.

საპატრიარქომ ორი დღის წინ გაავრცელა განცხადება, სადაც მრევლს ღირსების დაცვისკენ მოუწოდა“, - თქვა წამყვანმა და მაყურებელს სასულიერო პირის კომენტარი შესთავაზა, რომელიც „ღირსების მარშს“ „უწესობას“ უწოდებდა.

საინფორმაციო გამოშვებაში ეს ამბავი ისე გაშუქდა, რომ დაშავებული ჟურნალისტები არც კი უხსენებიათ. გარდა ამისა, არ გასულა არც ხელისუფლების, არც ოპოზიციის, არც მედიის

დაშავებული თანამშრომლების, არც არასამთავრობოების და არც რიგითი მოქალაქეების კომენტარი.

ჟურნალისტებზე ძალადობა (ერთი წინადადებით) ისე, რომ არ აჩვენეს ძალადობის კადრები და პრემიერის განცხადების ფრაგმენტი, რომელიც ამყარებდა საინფორმაციო გამოშვების დასაწყისში არსებულ პათოსს, „რეგიონს მიღმა ამბებში“ უკონტექსტოდ გაშუქდა.

გურჯაანის ტელევიზიამ სახელისუფლებო პოზიციიდან დაინახა 11 ნოემბერს საქართველოს მესამე პრეზიდენტის რუსთავის პენიტენციური დაწესებულებიდან გლდანში გადაყვანის კადრები (19:00). საინფორმაციო გამოშვებაში მხოლოდ კადრების ნაწილი გაშუქდა, მაყურებელს შესთავაზეს მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს კომენტარი. ისე, რომ არც მიხეილ სააკაშვილის უფლებადამცველების პასუხი ისმოდა და არც ამ საკითხზე გამოთქმული კრიტიკა.





მეცხრე არხი

მეცხრე არხის საინფორმაციო გამოშვება ეთერში გადის კვირაში სამჯერ: ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს. გადაცემის ხანგრძლივობა 10-15 წუთია.

ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ საინფორმაციო გამოშვება „ექოს“, რომელიც კვირაში სამჯერ გადის. ამ არხზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ და ყველაზე უარყოფითად ეს პარტია გაშუქდა (დროის 28 % უარყოფითი ტონით).



შინაარსობრივი შედეგები

ტელეკომპანია „მეცხრე არხი“ სრულყოფილად ვერ აშუქებს რეგიონში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ამბებს. საინფორმაციო გამოშვება „ექო“ გადის კვირაში სამჯერ, და აქ შუქდება ადგილობრივი სოციალური პრობლემები, კორონავირუსის ეპიდემია და ა.შ. მისი ხანგრძლივობა 10-15 წუთია. აღსანიშნავია ისიც, რომ „მეცხრე არხი“ საინფორმაციო გამოშვებაში ხშირად იყენებს სამთავრობო უწყებების მიერ მედიისთვის მიწოდებულ ვიდეოკადრებს, რომელსაც წინ უძღვის გადაცემის წამყვანის მკაფიო განმარტება. მონიტორინგის დაწყების წინა პერიოდში არხი ტექნიკური პრობლემის გამო დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში ვერ მაუწყებლობდა.

საინფორმაციო გამოშვება „ექო“ ტოვებს ზედაპირულობის განცდას. საინფორმაციო გამოშვებაში ძირითადად პოლიტიკური პარტიების მიერ შეთავაზებულ ამბები შუქდება. არ ხდება რეგიონისთვის მნიშვნელოვანი თემების მოძიება და სიღრმისეული გაშუქება. ასევე,

არის შემთხვევები, როცა ქვეყანაში მიმდინარე სხვა მნიშვნელოვანი ამბები მაყურებლამდე ვერ აღწევს.

მაგალითად, ტელეკომპანიას სპეციალური ეთერი არ ჰქონია 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის დღეს. მეორე დღეს დაგეგმილ არჩევნებთან დაკავშირებული თემები არ გაშუქებულა არც წინა დღის 29 ოქტომბრის საინფორმაციო გამოშვებაში.

„მეცხრე არხი“ აქტიურად აშუქებდა ინფორმაციას ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებისგან შესაძლო ზეწოლის გამო კანდიდატების მიერ კანდიდატურის მოხსნის შესახებ. უმრავლეს შემთხვევაში ამბები დაბალანსებულად იყო გადმოცემული, თუმცა იყო გამონაკლისებიც. მაგალითად, 8 აგვისტოს გავიდა სიუჟეტი, სადაც გაჟღერდა მმართველი პარტიის წევრის, სამველ მანუკიანის შესახებ, რომ ის ოპოზიციურ კანდიდატებზე ზეწოლას ახორციელებდა. თუმცა სიუჟეტში არ გასულა არც ბრალდების ობიექტის საპასუხო კომენტარი და არც მისი მოპოვების მცდელობა ჩანდა.

„მეცხრე არხმა“ კრიტიკულად გააშუქა 27 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ თბილისში გამართულ აქციაზე სამცხე-ჯავახეთიდან მხარდამჭერების, სკოლის პედაგოგების, სტუდენტების, აიპიების და საჯარო სამსახურის თანამშრომლების წასვლა. ტელეკომპანიამ სიუჟეტი მოამზადა აქციის გამო რეგიონში შექმნილ პრობლემებზეც. „დედაქალაქში გამართულ აქციას სამცხე-ჯავახეთიდან მასწავლებლებიც შეუერთდნენ, ამიტომ სკოლების ნაწილში გაკვეთილები არ ჩატარდა. იმის გამო, რომ მხარდამჭერები დედაქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტით წაიყვანეს, მთელი დღის განმავლობაში ახალციხეში დაგეგმილი რეისები ვერ შესრულდა, ამის შესახებ არც მგზავრები გაუფრთხილებიათ და არც ავტოსადგურის ადმინისტრაცია“.





TV 4

რაოდენობრივი შედეგები

TV 4-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკას“. ამ არხზე ყველაზე მეტი დრო მთავრობას დაეთმო და ყველაზე დადებითად ადგილობრივი მთავრობა გაშუქდა (დროის 37% დადებითი ტონით). ყველაზე უარყოფითად გაშუქდა „სახალხო პარტია“ (დროის 45 % უარყოფითი ტონით).



შინაარსობრივი შედეგები

TV4 ხელისუფლებისადმი მიკერძოებული რეგიონული ტელემაუწყებელია. სამონიტორინგო პერიოდში დადებითად შუქდება ადგილობრივი მთავრობის საქმიანობა, ხშირად ვხვდებით სიუჟეტებს ადგილობრივი მთავრობის აქტივობების შესახებ და თითქმის არ გხვდება კრიტიკული სიუჟეტები მთავრობისა და მათ შორის ადგილობრივი მთავრობის საქმიანობის შესახებ.

მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“ ინფორმაციისა და წყაროების მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ამასთან, ხშირად დაცული არ არის მიუკერძოებლობის სტანდარტი. არხზე ძირითადად გადის სიუჟეტები, რომლებიც ადგილობრივ მთავრობას დადებითად წარმოაჩენენ. გარდა ამისა, ხშირია ცენტრალური მთავრობის სხვადასხვა აქტივობების შესახებ მომზადებული სიუჟეტებიც.

იმის მიუხედავად, რომ სამონიტორინგო პერიოდში არაერთი მასალა მომზადდა ვაქცინაციისა და ეპიდსიტუაციის შესახებ ,არსებული პრობლემების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების მიმართ კრიტიკა არ ისმოდა.

6 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი რუსთავში ლიფტების რეაბილიტაციის შესახებ. ლიფტების საკითხის მოგვარება „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო. ამ დღეს ეთერში გასული მასალა ისე იყო აწყობილი, რომ მაყურებელი ვერ მოახერხებდა, გაემიჯნა მიმდინარე რეაბილიტაციის პროცესი კანდიდატის საარჩევნო კამპანიისგან. „ქალაქში ლიფტების მოდერნიზაციის მიზნით 360 ათას ლარზე მეტი დაიხარჯება. ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში ქალაქში გათვალისწინებულია 70-მდე ლიფტის მოდერნიზაცია, რაც გულისხმობს ძველი ლიფტების ახლით ჩანაცვლებას [კადრში ჩნდება ნინო ლაცაბიძე]. დღეს ქალაქის სამ მისამართზე ჩანაცვლებული ძველი ლიფტების მოდერნიზების პროცესს რუსთავის მერობის კანდიდატი ნინო ლაცაბიძე დაესწრო“, - ამბობდა წამყვანი. ამის შემდეგ მაყურებელს „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის კომენტარი შესთავაზეს. მასალაში არ გასულა სხვა კანდიდატების მოსაზრება ამ საკითხზე.

28 სექტემბერს, თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, „ქრონიკის“ ეთერში მომზადდა მასალა „რუსთაველი ქალები ბიზნესსა და პოლიტიკაში“. ჟურნალისტი სიუჟეტში ჰყვებოდა ამ კრიტერიუმებით გამორჩეულ სამ ქალზე, თუმცა აშკარა იყო „ქართული ოცნების“ ქალი მერობის კანდიდატის მიმართ მიკერძოება, იმის მიუხედავად, რომ თავად ნინო ლაცაბიძე ამ სიუჟეტში არ ჩანდა. მასალა, გარდა იმისა, რომ მმართველი პარტიის კანდიდატს პოზიტიურად წარმოაჩენდა, აჩენდა განცდას, რომ წარმატებული ქალები მას რუსთავის მერად მას ირჩევენ.

TV 4-ში ხელისუფლებისადმი მიკერძოება, ლოიალური დამოკიდებულება ჩანდა საზოგა-დოებისთვის მნიშვნელოვანი თემების გაშუქების დროსაც. მაგალითად,

ზედაპირულად და ხელისუფლების პასუხისმგებლობის როლის გამოკვეთის გარეშე გაშუქდა 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენები. TV4-მა 4 წუთი დაუთმო ამ ამბავს და

მაყურებელს მხოლოდ ორი კომენტარი შესთავაზა - ერთი პრემიერ-მინისტრის, მეორე კი საქართველოს პრეზიდენტისა. ჟურნალისტმა წაიკითხა „თბილისი პრაიდისა“ და საქართველოს საპატრიარქოს განცხადება. იმის მიუხედავად, რომ ამ დღეს თვალში საცემი იყო პოლიციელების სიმცირე და ხელისუფლების პრევენციული განცხადებები არ იყო მკაცრი და მკაფიო, არხზე ამ დეტალისთვის ხაზი არ გაუსვამთ, მეტიც, მასალაში არ იყო ჩაწერილი არცერთი დაზარალებული ჟურნალისტი, რომელიც იტყოდა, რა ხდებოდა იმ დღეს.

აღსანიშნავია, რომ არხმა 13 სექტემბერს საერთოდ არ გააშუქა დიდი ალბათობით სუს-იდან პირადი ცხოვრების ფარული მიყურადების ამსახველი ფაილების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც თავისი მნიშვნელობით მოქმედი ხელისუფლების პირობებში მასობრივი თვალთვალისა და მიყურადების შესახებ აჩენდა ეჭვებს.

ეს არ იყო ერთადერთი მნიშვნელოვანი ამბავი, რომელიც არხმა მიჩქმალა. საინფორმაციო გამოშვებაში ვერ მოხვდა ვერც 11 ნოემბერს პენიტენციური სამსახურის მიერ მიხეილ სააკაშვილის გადაყვანის კადრები. სწორედ ამ ვიდეოზე დაყრდნობით ამბობდნენ საქართველოს მესამე პრეზიდენტის ადვოკატები, რომ ის მოატყუეს და მასზე ძალადობდნენ.





თრიალეთი

რაოდენობრივი შედეგები

ტელეკომპანია „თრიალეთის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ საინფორმაციო გამოშვებას „ახალი ამბები თრიალეთზე“. ამ არხზე ყველაზე მეტი დრო მთავრობას დაეთმო და ყველაზე დადებითად მთავრობა გაშუქდა (დროის 20 % უარყოფითი ტონით).



შინაარსობრივი შედეგები

„თრიალეთის ახალი ამბები“ ძირითადად შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში მიმდინარე ამბებზეა ფოკუსირებული. ცენტრალურ ახალ ამბებს მიმოხილვითი ხასიათი აქვს და ძირითადად გადაცემის ბოლოს კოლაჟის სახით მიეწოდება მაყურებელს; სარედაქციო პოლიტიკაში შეინიშნება მიკერძოება ხელისუფლებისადმი. არხი ადგილობრივი თვითმმართველობის აქტივობების პოპულარიზაციას უწყობს ხელს. კერძოდ, კოლაჟში, როგორც წესი, ჩართულია სხვადასხვა მუნიციპალიტეტის (ხაშურის, ქარელის, კასპის, გორის) მერიების მიერ გავრცელებული პრესრელიზები მიმდინარე პროექტების შესახებ.

ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობას პოზიტიურად წარმოაჩენდა მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული თუ სოციალური პროექტები.

იმის მიუხედავად, რომ კორონავირუსის მართვის დროს ხელისუფლების მიმართ არაერთი კითხვა არსებობს, არხი ცდილობს, ამ საკითხის გაშუქების დროს მხოლოდ მშრალი ინფორმაციით შემოიფარგლოს - ძირითადად, კრიტიკა ამ საკითხზე ისმის ოპოზიციის მხრიდან.

ტენდენციის სახე ჰქონდა შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილის ვაქცინაციის პროცესში მონაწილეობის გაშუქებას, შესაბამისი მასალების წარდგენისას კი გადაცემის წამყვანის ტექსტი უცვლელად (ან მხოლოდ რამდენიმე სიტყვა იყო შეცვლილი) ემთხვეოდა შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ვებგვერდსა და ოფიციალურ ფეისბუკგვერდზე გამოქვეყნებულ სიახლეებს:

„ვაქცინაცია ხურვალეთის მოხუცთა თავშესაფარში“ - http://shidakartli.gov.ge/ge/news/index/1405

„ხაშურის მუნიციპალიტეტში იმუნიზაციის პროცესი გრძელდება“ - https://www.facebook.com/shidakartlismxare/photos/pcb.5905991566141828/5905981029476215/

„დვანში მოსახლეობის ვაქცინაცია მიმდინარეობს“

https://www.facebook.com/shidakartlismxare/photos/pcb.5942826429125008/5942821625792155/

აღსანიშნავია, რომ „თრიალეთის“ ეთერში მითითებული არ ყოფილა, რომ მასალა არხს მიაწოდა შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციამ.

5 ივლისის დარბევა, როგორც ახალი ამბავი, ტელევიზიამ არ გააშუქა. 5 ივლისის გადაცემაში, მხოლოდ კოლაჟში, წამყვანმა გაგვაცნო ჯერ ელჩების განცხადება და შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება: „შსს-მ დაგმო სიძულვილით მოტივირებული დანაშაული“. ფაქტი არ გაშუქდა არც მეორე დღეს, მაგრამ გაშუქდა ორი გამოხმაურება - 6 ივლისს გორში ჟურნალისტებმა სოლიდარობის აქცია ჩაატარეს და შსს-მ დააკავა ძალადობრივი ჯგუფების რამდენიმე წევრი. ამავე დღეს კოლაჟში გავიდა საპატრიარქოს განცხადება, რომლის შინაარსი იყო ის, რომ „პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს პრაიდის წევრებს“.

აღსანიშნავია, რომ 13 სექტემბერს, მაშინ, როდესაც მედიას ხელში ჩაუვარდა, დიდი ალბათობით, სუს-იდან გამოჟონილი დოკუმენტები პირადი ცხოვრების თვალთვალისა და მიყურადების შესახებ, ეს ინფორმაცია „თრიალეთმა“ არ გააშუქა.





ტვ გურია

რაოდენობრივი შედეგები

ტელეკომპანია „გურიის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ საინფორმაციო გამოშვება „გურიის ახალი ამბებს“. ამ არხზე ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო და ყველაზე უარყოფითად ის გაშუქდა (დროის 25% უარყოფითი ტონით). ყველაზე დადებითად გაშუქდა პარტია „საქართველოსთვის“ (დროის 24 % დადებითი ტონით).



შინაარსობრივი შედეგები

ტელეკომპანია „გურიის“ საინფორმაციო გამოშვება თემების მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. საინფორმაციო გამოშვებაში მოვლენებს იგი მეტწილად მიუკერძოებლად გადმოსცემს. გურიის ტელევიზიის მთავარი პრობლემაა ინფორმაციის სიმწირე, ზედაპირულობა, ძალიან მშრალი გაშუქება.

არხი თითქმის ყოველდღიურად აშუქებდა ქვეყანაში კოვიდვითარებას. გარდა ამისა, არხი აშუქებდა პოლიტიკური პარტიებისა და მერობის კანდიდატების ძირითად აქტივობებს. თუმცა, რიგ შემთხვევებში, მასალები ზედაპირულია. მაგალითად, 25 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი „ვინ არიან ოზურგეთის მერობის კანდიდატები“. მასალა მხოლოდ მშრალ მონაცემებს შეიცავდა კანდიდატების ბიოგრაფიიდან. არც მათი წარდგენის კომენტარები იყო სიუჟეტში ჩასმული და არც თვითონ კანდიდატების მოსაზრებები, რის გამო სურთ მერობა.

„საარჩევნო პროგრამას, მათ ხედვებს, თუ როგორ უნდა განავითარონ ოზურგეთი კი, იმედია, მოკლე ხანში გაგვაცნობენ და ინტერვიუზე დაგვთანხმდებიან“, - თქვა ჟურნალისტმა მასალის მიწურულს.

„გურია“ საინფორმაციო გამოშვებაში ხშირად მიმართავს ქუჩის გამოკითხვებს სხვადასხვა თემებზე: „წახვალ თუ არა არჩევნებზე“, „რას ფიქრობ რეგულაციებზე“, „თხილის ფასი როგორია“, „ფასების ზრდა როგორ აისახება თქვენს ცხოვრებაზე“.

გარდა ამისა, არხი აქტიურად, თითქმის ყოველდღიურად აშუქებდა სოციალურ პრობლემებს. მაგალითად, 20 აგვისტოს მომზადდა მასალა ლიხაურის მცხოვრებთა პრობლემაზე, 21 აგვისტოს - წყალმომარაგების პრობლემებზე ბახმაროში.

მონიტორინგის პერიოდში საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი, რომელიც დიდი ალბათობით რეკლამა იყო. გარდა იმისა, რომ სარეკლამო მასალის განთავსება საინფორმაციო გამოშვებაში აკრძალულია, სიუჟეტზე არც შესაბამისი მითითება გაუკეთებიათ.





ოდიში

რაოდენობრივი შედეგები

ტელეკომპანია „ოდიშის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ საინფორმაციო გამოშვება „ექომეტრს“. ამ არხზე ყველაზე მეტი დრო „ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო და ყველაზე დადებითად მიხეილ სააკაშვილი გაშუქდა (დროის 14 % დადებითი ტონით). ყველაზე უარყოფითად გაშუქდა მთავრობა (დროის 56 % უარყოფითი ტონით).



შინაარსობრივი შედეგები

შეიძლება ითქვას, რომ „ოდიშმა“ წინასაარჩევნო პერიოდში ვერ მოახერხა, აუდიტორიას დახმარებოდა ინფორმირებული არჩევანის მიღებაში. სამონიტორინგო პერიოდში ტელეკომპანია „ოდიში“ ვერ ახერხებდა ყოველდღიურ, უწყვეტ და სისტემატურ მაუწყებლობას. რიგ შემთხვევაში კი საერთოდ არ ეხებოდა საარჩევნო თემატიკას ან პოლიტიკას. „ოდიშის“ საინფორმაციო გამოშვებაში ხშირად გადიოდა რადიო „ამერიკის ხმის“ და რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის ერთობლივი პროექტი „სტუდია ვაშინგტონი“,

დროის იმ მცირე მონაკვეთში კი, როცა საინფორმაციო გამოშვებები გადიოდა, ის ყველაზე დადებითად ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს აშუქებდა. ასევე, ჩანდა სიმპათია ოპოზიციის მიმართ. მაგალითად, სახელისუფლებო პარტიის საზიანოდ გაშუქდა 18 ოქტომბერს „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის, ანა წითლიძის ბრალდებები. „ექომეტრმა“ ამ სიუჟეტში ფორმალური ბალანსის დაცვაც კი არ სცადა. ჟურნალისტმა ჯერ გაიმეორა ანა წითლიძის ბრალდებები - რომ ენგურჰესის თანამშრომლები ხელისუფლების დავალებით მონაწილეობდნენ მოქალაქეებისთვის პირადობის მოწმობების ჩამორთმევაში და უკვე შემდეგ შესთავაზა პოლიტიკოსის კომენტარი. იმის მიუხედავად, რომ პრეტენზიები ისმოდა „ქართული ოცნების“ წევრების მიმართ, სიუჟეტში მათი მოსაზრებები არ იყო წარმოდგენილი; არც ის ჩანდა, იყო თუ არა მათთან დაკავშირების მცდელობა.

რიგ შემთხვევაში საინფორმაციო გამოშვებაში გასული ზოგიერთი მასალა აჩენდა ეჭვს, რომ ის იყო დაფინანსებული. დაფინანსებული მასალის გაშვება საინფორმაციო გამოშვებაში აკრძალულია და თან მაუწყებელი ვალდებულია, რომ ამგვარ მასალას შესაბამისი მინიშნება ჰქონდეს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „ოდიში“ არათუ საქართველოში მომხდარ მნიშვნელოვან ამბებს, არამედ რეგიონში არსებულ სიახლეებსაც ვერ აწვდიდა პოტენციურ მაყურებელს.

სხვა რაიმე ტიპის დარღვევაზე საუბარი ან ანალიზი მასალების სიმწირის გამო, ფაქტობრივად, შეუძლებელია.




სუბიექტების გაშუქება (%)
ოდიში ტვ
5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021
32%
25%
13%
10%
7%
5%
4%
4%
ნაციონალური მოძრაობა
ქართული ოცნება
მიხეილ სააკაშვილი
მთავრობა
ლელო
საქართველოსთვის
ადგილობრივი მთავრობა
სხვა